

# ବେଳତିକାରୀଙ୍କ ପାତା

୩୧

180/13  
1941



180/3

1941 ମୁଦ୍ରଣ



პროლეტარიატი ქვეყნა კვებისა, ზემოქმედი!

# სახაფო თა ხელოვნება

საჭ. სასრ სახელმწიფო სისტან არსებული ხელოვნების  
საქმითა სამართლის ზოგიერთი მიზანი

4649

06060

№ 1-2  
1941

୩/୪୩. କୋଡ଼ିଶର୍ମନ୍ଦିଲ ପ. ୧୮. ୫ ଜୁଲାଇ ୧୯୫୩  
୩/୪୩. ୧୯୫୩୧୬୦ ପ. ୧୮୦୧ମ ଜୁଲାଇ

## სახელმწიფი თაგიღი

ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს მშრომელებმა ბოლ-შევიჟური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით გაანადგურეს შენშევიჟების პირ-სისხლიან ბურჯუაზიულ-ნაკორნალისტური ძალაუფლება და დამყარეს პროლეტარიატის დიქტატურა, მუშათა და გლეხთა ხელისუფლება.

განვლილი იცი წელი სკანდალის უკიდურესი პრიმორით და უმაგალითო შილწევებით. წილით ჩამორჩენილი ჩვენი ქვეყანა ბოლშევიჟებმა ოცი წლის პანილზე მოწინავე სახელშველ ქვეყნაზე გადაჯციეს. ისტორიის ჩაბაზრდა ძევლი და ქუცმაცებული ერთპიროვნული გლეხტური მეურნეობა. ჩვენი ქვეყანა მსვილი სოციალისტური მიწათმოქმედების ქვეყანა გახდა. საბოლოო განმტკიცდა საკოლმეტურნე წყობილება, რომელმაც მშრომელ გლეხობას შეძლებული და კულტურული ცხოვრება მოუტნა. „ჩვენმა საბჭოთა საზოგადოებამ მიაღწია იმს, რომ ძირითადად უკვე განახორციელა სოციალიზმი, შექმნა სოციალისტური წყობილება, ე. ი. განახორციელა ის, რასაც მარჯვისისტები სხვანარად კომუნიზმის პირველი ანუ დაბალ ფაზის უწოდებენ“. (სტალინი).

ჩვენი ქვეყნის ამ საერთო აღმავლობაში მონაწილეობს მთელი მოსახლეობა. მუშები, კოლმეტურნები, ინტელიგენცია ენტეზიაზმით მუშაობენ იმისათვის, რომ საბჭოთა საქართველო გადას კიდევ უფრო მდიდარი და ძლიერი, რომ ცხოვრება კიდევ უფრო ნათელი და ბედნიერი იყოს, რომ შეიქმნეს პირობები კომუნიზმის პირველი ფაზიდან მის უმაღლეს ფაზზე გადასცლისათვის.

ეკონომიკის აღორიძინება, ქვეყნის საწარმოო ძალათა სწრაფი ზრდა მეცნიერებისა და ხელოვნების აუკავების მძლავრი სტამულია. პარტია და ხელოსუფლება განუწყვეტლივ ზრუნავენ ხელოვნების განვითარებისათვის, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მასქანის კომუნისტურად აღზრდის მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს. ქართულმა საბჭოთა მხატვრულმა კულტურამ, რომელიც სოციალისტური სახელმწიფოს დიადი კულტურის ერთეულთ მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, განვლილი ოცი წლის განვალობაში ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწია. სოციალისტურია რევოლუციამ არნახული პირობება შექმნა ნამდვილად თავისუფალი შემოქმედებისათვის, ნიჭის სრულად გაშლისათვის. მან თავისი იდეაბის მხურვალე პათოსით ამეტყველ ხელოვნება. დიადი საქმეებით აღსავს ჩვენი გმირული ყოველდღიურობა უც, მრავალფეროვან მასალის აღლევს მხატვას შემოქმედებისათვის. და ამ ნოვერ ნიადაგზე იქმნება შესანიშნავი ხელოვნება, რომელიც მთელი ხალხის საკუთრებად იქცა. ლიტერატურა, ოეტრი, ინტერატრანსაფა, მხატვრობა, ქანდაკება, არქიტექტურა, მუსიკა ესთეტიკური სიამოვნებისა და სამყაროს შემეცნების წყაროდ არის გადაცემული ოთველ და ასეულ ათას ადამიანებისათვის.

არაორიენტის ხელოვნებას არ ეწეოდა ისეთი ყურადღება, როგორც ახლა, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. არამოდეს ქართული თეატრი არ ყოფილა ისეთი მზრუნველობისა და საზოგადოებრივი ყურადღების საგანი, როგორც ახლა. ცნობილია, რომ მეფის სატრაპეზი კოველგვარი საშუა-

ლებით დევნიდნენ ქართულ თეატრს. უკეთესი მღვმარეობა ან ყოფილ მეშვეოებების დროსაც. მათ ქართული თეატრი ისეთ მძიმე მატერიალურ პირობებში ჩააყენეს, რომ მეშვეოებური სამკერი თეატრის დირექტორი იძულებული იყო ინგლისის მისიისათვის ეთხოვა მოწყალება: „ამოვწურე რა ყოველგვარი საშუალება არიმეს შოვნისა, მე, სახელმწიფო თეატრის დირექტორი, უმორჩილესად ვთხოვ პატივცემულ მისიას, თუ არის შესაძლებლობა მოგვცეთ დაკლებულ-ფასებში აქვ დართულ სიაში დწვერილებით მოხსენებული მასალები. გამოიქვევამ ას ჩემს რჩმა მოწირებას პატივცემული მისიასადმი, მე უნდა მოვაგონო მას, რომ ჩენი თეატრი ყოველთვის ცდილობდა ოპერების კეთილსინდისიერი და მხატვრული დადგმით შესაძლებელი ესთეტიკური ქმაყოფილება მიერიქვება ჩენი სტუმრებისათვის“ (სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის მასალებიდან).

მხოლოდ საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გახდა ქართული თეატრი სახელმწიფო უზრაღლებისა და შერუნველობის საგანი. ამას ნათლიდ მოწმობებრ შევმოდმოყანილი ციფრები: ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველოში იყ 5 თეატრი 150 მსახობით, 1940 წელს კ თეატრების რიცხვი 46-ს აღწევდა. ქედან თბილისში არის 12 თეატრი, ეტრიუმების რეპერტუარში 7, რაონებში 27. ყველა ამ თეატრში მუშაობს 1720 მსახიობი და შემოქმედი მუშაკი, რომელთა უმრავლესობა საბჭოთა სასწავლებლებში აღიარდა.

საკოლმეტურნო წყობილების გამარჯვებამ უზრუნველჰყო სოფლის შეძლებული, კულტურული ცხოვრება, იქ, საბაც თღებულც სისხელე, უმეტება, უკულტურობა მეფობდა,—ახლა სოციალისტური კულტურის მრავალი ერაა გახსნილი. საქმათა დაცვასახელოთ, რომ ამჟამად საქართველოში ათი საკოლმეტურნო თეატრია, რომლებიც დიდ კულტურულ ძალას წარმოადგენენ. ისინი დაინან შიგებულ, მიყრებულ სოფლებში და თან მასქვთ ხალხში საბჭოთა თეატრის მართალი ხელოვნება. 1937 წელს საქართველოს თეატრებმა მაყურებელს უჩვენეს 3729 სპექტაკლი, 1939 წელს კი ეს რაონებით 5153-მდე გაიზარდა. მარტი 1940 წლის განმავლობაში ჩენი თეატრების სპექტაკლები ნაა 1800 ათასი მაყურებელი.

პარტიისა და მთავრობის შედგიერა ზერდნამ უზრუნველჲყო თეატრები. სათვის მძლავრი მატერიალური ბაზა, საბჭოთა ხელისუფლების დროის საქართველოში თეატრებზე ათეული მილიონი იხარება. მარტი 1940 წელს სახელმწიფო თეატრებს დორტაციის სახით 19 მილიონი მანეთი მისცა.

სახატვრულად გამართული სპექტაკლები იღგმება ას მარტი ქალაქებსა და რაონის ცენტრებში, რამდენ კოლეგიურნობებშიც. მოწინავე თეატრებმა მოგვცეს მთელი რიგი ბრწყინვალე დადგმები, რომლებიც საბჭოთა თეატრალური ხელოვნების ოქროს ფონდში შევიდა. ასეთია, მაგალითად, „ცხვრის წყარო“, „ოტელი“, „ურიილ აკსტრა“, „აზორი“, „არსენა“, „ფიგაროს ქორწინება“, „სურამის ციხე“, „უდანაშაული ღმნაშავენი“, „ნაერწყლიდან“, „თოფიანი კაცი“.

მე შესანიშნავმა დადგმებმა ქართულ თეატრს სახელი მოუხვევს მთელ კავშირში და საპატიო დავილ მიეჩინეს მას ჩენი სამშობლოს მოწინავე თეატრებს შორის. განსაკუთრებით აღსანიშნავია სპექტაკლები, რომლებშიაც ნაჩვენებია ბელადების—ლენინისა და სტალინის სახეები.

ჩეენია სახვითი ხელოვნებამ განვითარების რთული გზა განვლო. ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ ქართული ხელოვნება გამოიყანა ჩიხიდან, ისნაა იგი გაყინვისაგან, სასიცოცხლო სული შთაბერა მას.



თუ ჩევოლუციამდელი ქართული სახვითი ხელოვნება მოწყვეტილი იყო სა-<sup>კონკრეტული</sup>  
ზოგადოებრივ იღებს, საბჭოთა ხელოვნებამ თავის შინაარსად გაიხადა ადამიანის  
მიან, მისა ბრძოლა საშობლოსათვის, სოციალურისათვის. განვლილი ოცა  
წლის მანძილზე ჩევნი სახვითი ხელოვნება თავის საუკეთესო ნაწარმოებებში  
გამოხატავდა ადამიანთა ცხოვრებას, შრომასა და ბრძოლას, თავისუფალი  
ქართველი ხალხის გმირულ წარსულსა და ნათელ აქტებს.

საქართველოს მხატვების, ისე როგორც ხელოვნების უკელი დარგის  
მუშაკთა შემოქმედებაში გადამწყვეტი როლი ითამაშს ამხანაგ ლავრენტი  
ბერიას ისტორიულმა ნაშრომში—„ამიერ-კავკასიის ბოლშევკური ირგანი-  
ზუიების ისტორიის სკონხისათვის“, რომელმაც ნათელი პერსპექტივები  
დაუსახა მხატვებს, იდეურად შეაირად და აღაფრთოვანი ისინი, დახმარა  
მათ სოციალური რეალიზმის მეთოდის დაუფლებაში.

ქართული სახვითი ხელოვნება გამდიდრდა შინაარსითა და ფორ-  
მით. გაიზარდნენ და მოწიფდნენ ახალგაზრდა ნაჭირი მხატვები, რომელთა  
შორის განსაუზრუნებით გამოიჩინევინ: ა. ქუთაოვლაძე, უჩა ჯაფარიძე,  
კ. გერელიშვილი, ს. ნადარეიშვილი, ი. თოიძე, თ. აბაკელია, კ. სანაძე, ს. მა-  
საშვილი, კ. ხუციშვილი.

ქანდაკების ახალგაზრდა ოსტატთა შორის თავისი ნიჭით ყურადღებას  
იპყრობენ ს. კაკაბაძე, ვ. თოფურიძე, კ. მეტაბიშვილი, რ. თავაძე, რ. ამირი-  
ვი. ფერწერისა და ქანდაკების ძეველ ოსტატთაგან აქტიურად მუშაობენ მ.  
თოიძე, ელ. ახვლედიანი, სახალხო მოქანდაკე ი. ნიკოლაძე, ი. ვეფხვაძე, ალ-  
ციმაურიძე, ქ. მაღალაშვილი, მოქანდაკე ნ. კანდელაძე. სოციალისტური მშე-  
ნებლობის პათოსით, ბელადისადმი უსახლერო სიყვარულით აღირთოვანე-  
ბულნი, ისინი ხელიხელ ჩაიდგებული მუშაობენ ახალგაზრდობასთან ერთა უ-  
ჩევნი დიადი ეპოქის დიად იდეათა მხატვრულად ხორციელდისთვის.

საბჭოთა ხელისუფლების 20 წელი—ეს ქართული მუსიკის ბრწყინვალე  
აუგავების პერიოდია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოს  
ას განწინა თავისი ნაციონალური საოპერო თეატრი. ამჟამად კი საოპერო  
თეატრის ჩეპერტუარი გამდიდრებულია თეატრმეტი ქართულ ირგინალური  
საოპერო და საბალეტო ნაწარმოებით, რომელთა შორის „აბესალომ და ეთე-  
რი“ მსაფლიო საოპერო ლიტერატურის თვალმიტრალის წარმოადგენს.

საგრძნობლად განვითარა ქართული სიმფონიური და კამერული მუსი-  
კა. ათეული სიმფონიური პოემა და სუიტა მტკიცედ შევიდა სიმფონიური  
კონცერტების ჩეპერტუარში. საქართველოს საბჭოთა კომისიის კონკრეტუარი  
მოწოდების როგორი, რომელიც 40-ზე მეტ წევრს ერთობებს, მძღვარ შეოოქმედებით ირ-  
განიშაციად გადაქცა და წამყვან ჩეოლს წარმოადგენს ქართულ მუსიკალურ  
ხელოვნებში.

საქართველოს არქიტექტურული მეტენობა, რომელიც მეტკილრებით  
მიიღო 20 წლის წინათ საბჭოთა ხელისუფლებამ, მეტად უმწეო და უშინარ-  
სო იყო. ჩევოლუციამდელი ქალაქების განვითარებაში ქაოსი და უგეგმობა იყო  
გამეცებული. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიც-  
ვალა ძირფესევიანი საქართველოს ძეველი ქალაქების სახე. შენდება ახალი  
არქიტექტურული ნივებიბანი, რომელიც დიადი სოციალისტური ეპოქის შე-  
სატყვის გრანდიოზულ ანსამბლებს ჰქონიან. და ამ მშენებლობაში საბჭოთა  
არქიტექტორების წვლილი ფრიად დიდია.

საბჭოთა ხელისუფლების დროს უდიდესი კურადღება მიექცა ხალხური  
შემოქმედების განვითარებას. ამ საქმეზე დიღმალი თანხები იხარჯება. მარ-  
ტო 1939 და 1940 წლებში ხალხური შემოქმედების განვითარებისათვის სა-

ქელმშიფი ბიუჯეტიდან გაღებული იყო 1.292.000 მანეთი. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დაფარულია სამხატვრო თვითმომქმედი წრეების ფართო ქსელით. მათი რიცხვი 1134-ს აღწევს, მათში გაერთიანებულია 30.000 კაცი.

ქართველმა ხალხმა თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მატერიალური კულტურის მრავალი შესანიშნავი ძეგლი შექმნა, რომლებიც ნათლად მოწმობენ მის მაღალ კულტურას, მის გმირობასა და სამშობლისადმი სიყვარულს. მეფის მოხელეები და მემშვიდეური „მარატველები“ ბარბაროსულად ანადგურებდნენ ამ ძეგლებს. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიექცა მათ დაცვას განსაკუთრებული ყურადღება. უკანასკნელ წლებში სარესტავრაციო და სარემონტო სამუშაოებში დახარჯულია 6 მილიონამდე მანეთი.

საბჭოთა საქართველო დიდი წარმატებებით ხვდება თავის ოცი წლის-თავის ხელოვნების კადრების მომზადების დარგშიც. საქართველოს ხელოვნება თავის ჩივებში აგრძიანებს 7544 კაცს, რომელთაგან 790-მა (9,5%) უმაღლესი სპეციალური განათლება საბჭოთა სასწავლებლებში მიიღო.

ჩვენს შემოქმედებით მუშავებს, ჩვენს მსახიობებს, მუსიკოსებს, მხატვრებს, მწერლებს, მეცნიერებს წილად ხვდთ ბეჭნიორება იცხოვრინ და იმუშაონ სოციალური კვეყანაში. კომუნიზმის იდეებით შთაგონებული, ჩვენი ხელოვნების ასტატები შეგნებულად შრომობენ ხალხისაოვას, ისინი მის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ, და ხალხც სიყვარულით, ზრუნვით, პატივისცემით ჟუპანებს მთ.

ხელოვნების მუშავითა შორის ჩვენ 67 ორდენისანი, 19 სახალხო არტისტი და 82 დამსახურებული არტისტი და მოღაწე გვყავს. აგრეთვე საპატიო სახელწოდებანი მინიჭებული აქვთ სამხრეთოსთის ახალგაზრდა კადებებს, რომელთაც დიდი დამსახურება მიუძღვით თავისი ნაციონალური ხელოვნების განვთარებაში.

ყველა ეს მიღწევა შედეგია კომუნისტური პარტიის პრინციპი ნაციონალური პოლიტიკისა, საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვისა. პარტია და მთავრობა ყოველგვარ პირობას შექმნან სოციალისტური ხელოვნების განვითარებისათვის. მარტი თოხი წლის განმავლობაში, 1937-დან 1941 წლამდე, სახელმწიფო ხელოვნებისათვის 160.731.600 მანეთი გაიღო.

ქართული საბჭოთა ხელოვნების მოღაწენი, მჭიდროდ დარაზმული ლენინ-სტალინის პარტიის დროშის ქვეშ, მომავალშიაც თავდადებით იმუშავებენ დაიდი სტალინური ეპოქის შესატყვის მაღალმხატვრულ ნაწარმოებთა შესაქმნელად.

სიამაყით მოცული ჩვენი ქვეყნის დიადი წარმატებების გამო, ჩვენ მედგრძად შესძინებთ დღეს მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად:

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს XX წლისთვეს!

გაუმარჯოს საკუთრი კომუნისტურ (ბ) პარტია!

გაუმარჯოს ქართველი ხალხის ღრმა შეცვლა შვილს, საბჭოთა დაზევრვის ფხრისელ მესაჭეს ამხანგ ლავრნები ბერიას!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს შრომელთა ბელადს, მასწავლებელსა და მეცნიერების დღი სტალინის!

# საქართველოს სოციალისტური ხელოვნების ხელოვნება XX წლის მანძირზე

დღიდ წარმატებებს მიაღწია საბჭოთა საქართველომ გმირული ბრძოლისა და ძლევა-მოსილი შენებლობის XX წლის მანძირზე სოციალისტური ხელოვნების ყველა დარგში.

საბჭოთა ხელოვნულების XX წლის განმავლობაში გაიზარდნენ და შემოქმედებით ვად განტკიცდნენ ახალგაზრდა ნივირი მსახიობები და ჩრეალისტები, კომპოზიტორები, მომღერლები, ფუნჯის ასტატები, კინემატოგრაფის, ქორეოგრაფიის და ხელოვნების სხვა დარგთა მუშაკები. პარტიის მზრუნველობით და ყურადღებით, ხალხის სიყვარულით გარემოცულთ მათ ამერად მოწინავე აღვილი უკირავთ საქართველოს სოციალისტური კულტურის შენებლობაში.

მათთან ერთად ქართული საბჭოთა ხელოვნების მოწინავე პოზიციებში იბრძვიან რევოლუციის წინაპერიოდის მხატვრული ინტელიგენციის საუკუთხოს წარმომადგენლები, რომელიც გულწრფელად დაღნენ შემოქმედებითი გარდაქმნის გზაზე და მთელ თავის ნიშანს, მთელ თავის გამოცდილებას ლენინ-სტალინის პარტიის დადით საქმის სამსახურს სწირავენ.

სოციალისტური რევოლუციის პირველი წლები საქართველოში აღინიშნა ქართული თეატრალური ხელოვნების ნამდვილი აღირდნებოთა და ყყვავებით. ცნობილია, რომ რევოლუციის წინადროინდელი ქართული თეატრის მთელი ისტორია დაკარისებულია ქართული სცენის თვალსაჩინო მოღვაწეთა განუწყვეტელ ბრძოლასთან ნაციონალური თეატრალური ხელოვნების დაცვისათვის თვითმყრობელობის სატრაპეზისა, შემდეგ კი ქართველი ხალხის და ქართული კულტურის უბორობესი მტრების — მეწევიკური „მარტველებისაგან“.

მეფის სატრაპეზი ყოველმხრივ ავწროებდნენ ქართულ თეატრს და არაერთხელ დაუხსრავთ იგი, მაგრამ „მიუხედავად კარიზმის უსასტიკესი კოლონიური პო-

ლიტერატურას, — ცარისმის, რომელიც ცდილობდა ჩატვირთო ქართველი ხალხის თავისუფლების მოყვარული სული და მოესპონ მისი ნაციონალური თვითშეგნება. — ქართველმა ხალხმა შესძლო საუკუნეების მანძირზე გამოეტარებინა თავისი ენა, თავისი ძელი კულტურა, თავისი ნებისყოფა გამარჯვებისა და თავისუფლებისადმი“. (ლ. პ. ბერია).

მეწევიკების ბატონობის დროს ქართული თეატრი საბოლოოდ მოიშალა. ქართული თეატრის მასახობები შიმშილობდნენ და სცენის დამშეულ მოღვაწეთათვის დახმარების გასაჭიროებული იძლებული იყონენ შეწრულება შეეგროვებინათ.

მხოლოდ საქართველოში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გახდა ქართული თეატრი სახელმწიფო ყურადღებისა და მზრუნველობის საგნად.

ოქტომბრის რევოლუციიდე საქართველოში ხუთი თეატრი იყო, მსახიობთა რიცხვი კი 150 აღწევდა. 1940 წელს რესპუბლიკაში იყო 46 თეატრი, მათ შორის თბილისში 12, აგრეთვობის რესპუბლიკებში 7, რაიონებში 27, აქედან 10 საკლასო უნივერსიტეტის თეატრი. მათგან 1720 მსახიობი და შემომქმედი მუშაკი, აქედან 232 სამხატვრო ხელმძღვანელი და რეესისორია, რომელთა უმრავლესობამ განათლება საბჭოთა უმაღლეს თეატრალურ საწარმოებებში მიიღო. 1937 წელს რესპუბლიკის თეატრებში ნაჩევები იყო 3729 საქეტალი, 1938 წელს — 4483, 1939 წ.—5153, აქედან 228 ახალი და განახლებული დადგმა იყო. 1939 წელს სპექტაკლები ნახა 1800 ათასმა მაყურებელმა. თეატრალური ხელოვნება ნამდვილად მასობრივ, ხალხურ ხელოვნებად გადაიქცა.

საბჭოთა სცენაზე აღზრდილ არა ერთ თეატრ შესაიშნავ ისტორიას საპატიო აღგილი საბჭოთა კაშმირის თეატრალური ხელოვნების ბრწყინვალე პლატფორმა.

სცენიური ოსტატობა ისეთი გამოჩენილი არტისტებისა, როგორიც არიან ა. ვასაძე, ა. ხორავა, მ. გელივანი, თ. ჭავჭავაძე, კ. მიურავა და სხვ., ფაზოლი ცნობილი მომექ ჩევზუბლივებში. ლირიშესანიშავი შემოქმედებით მიღწევებისათვის ზ. ფავაშვილის სახ. და რუსთაველის სახ. თეატრები და გილონებული არიან ლენინის ორდენით. რუსთაველის თეატრი სამართლიანად ითვლება საბჭოთა კავშირის ერთეულ მოწინავე თეატრად; მნ საკუთარი ინდივიდუალური შემოქმედებითი სახე გამოიმუშავა და სცენიური ოსტატობის საკუთარი სტილი შექმნა.

ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო აღვილი უჭირავთ მარჯანიშვილის სახ. თეატრს, მოზარდა-მაყურებელთა თეატრს, რომელმაც მაღალი შეფასება მიიღო მამაჭინათ მოსკოვში გამოჩიულ სტაგშვილ თეატრების დათვალიერებაშე, ლადო მესხიშვილის სახ. ქუთაისის თეატრს, ჭავთავრის, გორის, ბათუმის, ფოთის და სოხუმის თეატრებს.

ყოველდღიურად შტეკიფება თეატრების მატერიალური ბაზა. 1939—1940 წელს სახელმწიფო თეატრების უსრუნველყოფისათვის გაიღო 19.003.000 მანეთი. საბჭოთა ხელისუფლების დროს აგებულ იქნა მრავალი ახალი სათეატრო შენობა, აგრეთვე საცხოვრებელი სახლები ხელოვნების მუშაკთავის. თბილისში აგებულია სომხეტი დრამისა და ცინკის ახალი შენობა, ახალი სათეატრო სადაც აგებულია სომხეტი და გორის ახალი სათეატრო შენობა. აგრეთვე სამხედრო სათეატრო შენობა და საცხოვრებელი სახლი აგებულია საბჭოთა ბიექსბი, ახალი სოხუმის აგებული და სტალინის სასური თეატრები წარმატებით სდგამენ არა მარტო ორიგინალურ საბჭოთა ბიექსბი, ახალედ დრამატურგის მსოფლიო კლასიკისა ნაწარმოებებსაც. მ მღლებებს თვალნათლივ კაცნონ ჩვენ საზოგადოებრივობა სამხრეთისას ხელოვნების ჩვენებაზე ქ. თბილისში 1940 წელს.

მოსკოვში 1936 წლის დეკემბერში ჩატარებულმა ქართული ხელოვნების დეკადამ და ქართული საპერიო თეატრის გასტროლებმა 1938 წელს ნათლად დაანაცა მოელს საბჭოთა საზოგადოებრივობას ქართული საოპერო ხელოვნების, ქართული მუსიკალური და ქორეოგრაფიული კულტურის მაღალი დონე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოს თავისი ნაციონალური საოპერო თეატრი არ ჰქონდა. ამჟამად კ. ფალაშვილის სახელმწიფო ბიექსბისა და ბალეტის ქართული სახელმწიფო თეატრი საბჭოთა კავშირის ერთეული შესანიშავი მხატვრული კოლექტივია. თვალსაჩინო შემოქმე-

რის ჩეპერტუარი ღარიბი იყო ცოტად ზეგად მნიშვნელოვანი ორიგინალური დრამატურგიული წარმოებებთ და მათი საერთო რიცხვი ის ათეულს არ აღმატებოდა, საბჭოთა პერიოდის შატრო სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში რესპუბლიკის თეატრებში დაიდგა 236 სახელწოდების ბიექსბი. მრავალ მ დადგმას სეტაპონ მნიშვნელობა აქვს ჩვენი თეატრისათვის. ასეთების რიცხვს ეკუთვნის „ცხვრის წყარო“, „პამლეტი“, „ყაჩალება“, „ოტელი“, „ურიელ“ აკტერა“, „ფიგაროს ქრისტინება“, „მარგარიტა გორევი“, „ვერაგობა და სიყვარული“, „უდანაშაულო დამინაშვენი“, „მზის შეილები“, „აზონი“, „შემოღვომის აზნაურები“, „აზენ“, „ნინოშვილის გურია“, „ჩატეხილი ხიდი“, „სოლომონ მეჯღანუაშვილი“, „გრაფის ქვრივი“, „გიორგი სააკაძე“, „ლალატი“, „კოლმეურის ქოჩინება“. —

საბჭოთა საქართველოში წარმატებით ვითარდება აგრეთვე რუსული, აზერბაიჯანული, სომხეთი თეატრალური კულტურა. ცნობილია, რომ აფხაზეთის და სახერთოს თავის ხალხებს ჩევროლუციამდე თავისი თეატრალური ხელოვნება არ ჰქონდათ. ამჟამად სომხეთის აგებული და სტალინის სასური თეატრები წარმატებით სდგამენ არა მარტო ორიგინალურ საბჭოთა ბიექსბი, ახალედ დრამატურგის მსოფლიო კლასიკისა ნაწარმოებებსაც. მ მღლებებს თვალნათლივ კაცნონ ჩვენ საზოგადოებრივობა სამხრეთისას ხელოვნების ჩვენებაზე ქ. თბილისში 1940 წელს.

მოსკოვში 1936 წლის დეკემბერში ჩატარებულმა ქართული ხელოვნების დეკადამ და ქართული საპერიო თეატრის გასტროლებმა 1938 წელს ნათლად დაანაცა მოელს საბჭოთა საზოგადოებრივობას ქართული საოპერო ხელოვნების, ქართული მუსიკალური და ქორეოგრაფიული კულტურის მაღალი დონე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოს თავისი ნაციონალური საოპერო თეატრი არ ჰქონდა. ამჟამად კ. ფალაშვილის სახელმწიფო ბიექსბისა და ბალეტის ქართული სახელმწიფო თეატრი საბჭოთა კავშირის ერთეული შესანიშავი მხატვრული კოლექტივია. თვალსაჩინო შემოქმე-





დებით მიღწევებისათვის თეატრი და გრაფიკული უნივერსიტეტის მიმდევარი იყო.

პარტიისა და მთავრობის, საერთაშორისო პროლეტარიატის დიდი ბელადების — ლენინისა და სტალინის მუდმივი მზრუნველობის შედეგად საქართველოში გაითურიქნა ფინმიმ ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური მუსიკალური კულტურა. ლენინურს-სტალინური ნაციონალური პილიტიკის გატარებამ საშუალება მოგვცა აღგეხუარდა კომპონისტორთა, მუსიკის-მოძრეობა, დირიჟორთა და შემსრულებელთა ახალი კადრები. ფართო ამარჩევია გადამლილი შშრომელთა ნიჭიერი ბავშვებისათვის მუსიკალური განათლების დარგში. როგორც თბილისში, მც რესპუბლიკის სხვა ქალაქებში ისსნება მუსიკალური მუშტაკები, ტექნიკურები და სკოლები, რომელებშიაც გზავნიან ნიჭიერი ახალგაზრდებს.

ამხანაგ სტალინის ერთგული თანამებრძოლის — შშმბლიური ლავრენტი ბერისა და უღლალავი მზრუნველობის შედეგად საქართველომ დიდ წრამატებებს მიაწია საოპერა, სიმფონიური და კამერული მუსიკის დარგში.

ქართული სახეით ხელოვნება ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის წინ დღეურად სუსტად იყო დაკავშირებული მოწინევე საზოგადოებრივ მომინინერობებიან; ძრობადად ის იყებებოდა სიმბოლიზმის, ნაწილობრივ ფურურიზმის დღეებითა და ფორმებით და მოსწყდა ცოცხალ ხალხურ ტრადიციებს.

ოქტომბრის დღიმა სოციალისტურმა რევოლუციამ სრული გადატრიალება მოახდინა საქართველოს არა მარტო კონკრეტურ და სამეცნიერო ცხოვრებაში, არამედ იღეოლოვის ყველ დარგში, კრძოლ სახეით ხელოვნებაში.

საქართველოს მხატვებს ფაქტურულები სამსახური გაუწია ამხანაგმა ლ. ბერიმ თავისი ისტორიული მოხსენებით თბილისის პარტეტიულებეს — „ამიერ-კავკასიის შოლშევიკური ირგანიზაციების ისტორიის საკითხებათვის“. ამ შესანიშნავმა მოხსენებმ იღეურად შეიარაღა საქართველოს მხატვები ისტატობის მწვერვალთა დაუფლების საქმე-

ში. ქართველ მხატვართა კოლექტივის, სამსახურის ლიც 100-ზე მეტ კაცს ითვლის თავის რიცხვში, უდაბნ პირველი აღგილი ეკუთვნის ამ დიდი თემის ასახვის საქმეში.

საქართველოს მხატვართა კოლექტივმა შედარებით მოკლე დროის გამამავლობაში შესძლო მაღალმხატვერული სურათების შექმნა. ეს მით უფრო ღირსეული შესანიშნავია, რომ კოლექტივის დიდი უმრავლესობა ახალგაზრდებისაგან შესდგება, რომლებმაც სულ რაღაც რამდენიმე წლის წინათ დამთვარეს თბილისის სამხატვრო აკადემია.

საქართველოს არქიტეტურული მეურნეობა, რომელიც მემკენილეობით მიიღო საბჭოთა ხელისუფლებაზ მდგრადი წლის წინათ, არა მარტო დაშლილი იყო ხანგრძლივი იმისა და მენეჯერიების უნიჭო ხელმძღვანელობის შედეგად, არამედ პრინციპში უნიათ, ღრმად პროვინციალური იყო.

საქართველომ, რომელსაც არ ჰყავდა თავისი არქიტეტორები, საბჭოთა ხელისუფლების მანილზე შექმნა არქიტეტორთა საკუთარი ნაციონალური სკოლა, ჩამოაყალიბა სურათმძღვრთა მტკიცე კოლექტივი, რომელშიაც გაერთიანებულია 150 ნიჭიერი, საქმისაღმი თავდადებული წევრი.

საბჭოთა ხელისუფლების მანილბაში გაცილებით უფრო მეტი გაეთდა საქართველოს ისტორიული და ხალხური არქიტეტორის შესასწავლად, ვიდრე ბერეკაზიერის ისტორიული მეცნიერების არსებობის მანილზე.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ძირისციან შეიცვალა საქართველოს ეველი ქალაქების სახე და აღმოცენდნენ მოელი რიგი ახალ ქალაქები და კურორტები. თბილისის შემატა შესანიშნავი ნაგებობანი, როგორც მაგალითად: სანაპირო ქუჩა, ჩელუსკინელთა ხიდი, მარქს-ენგელს-ლენინის ისტიტუტი, ბერისა ს. სტადიონი, ახალი პარკები და სხვა.

ზღაპრულად იზრდება ქუთაისი — რესპუბლიკის მეორე სამრეწველო ცენტრი. გორი — ღილი სტალინის საშობლო — ნახევრად დანგრეული დაბიდან დიდ რაონიულ ცენტრად გაიზარდა. შედგენილია ღილი გორის გეგმა. აშენდა თეატრი, კინო,

სასტუმრო, პედაგოგიური ინსტიტუტი, მუზეუმი და სხვა.

საქართველოს ახალმა საბჭოთა არქიტექტურაშ მტკიცე ძალები გააძა ჩევნის ქელ ბრწყინვალე კულტურასთან, რომ კიდევ უფრო დიდ სიმაღლურზე აიყვანის ეს ჭულტურა.

ხალხმა თავისი ფიქრი, გრძნობები და მისწრაფებანი თავის შემოქმედებაში და ხელოვნებაში გამოხატა. ხალხური შემოქმედების საფუძველზე ხელოვნებისა და ლიტერატურის მრავალი განუმეორებელი ნაწარმოებია შექმნილი.

ხალხური შემოქმედების ერთეულთი საუკეთესო სახეა ხალხური სიმღერა. ცეკვა და სახეოთი ხელოვნება. საქართველოს ხალხურ მომღერალთა გუნდების რეპერტუარში ამდენად 1000-ზე მეტი ხალხური სიმღერაა შეტანილი. უკანასკნელ წლების განავლობაში საგრძნობლად გაიზარდა და განმტკიცდა საიმღერო და საცეკვაო თვითმოქმედება. არ არს არც ერთი რაიონი, სადაც არ იყოს კოლეჯურნებთა გუნდი, ინსტრუმენტალური ან საცეკვაო ანსამბლი.

პარტიისა და მთავრობის უდიდეს უკრადლებას ხალხური შემოქმედებისადმი მოწმობს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხალხური შემოქმედების განვითარებისათვის 1939 და 1940 წლებს გაღებული იყო 1.292.000 მანერთი. გადადებულია სპეციალური თანხები თვითმოქმედი წრეების ხელმძღვანელთა მოსამაშალებლად და გადასამზადებლად.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ხელოვნების მუშავთა კარტების მომზადებას არავთარი უკრალება არ ექცეოდა. მეფის მთავრობის დროს საქართველოში სულ ერთი მუსიკალური სასწავლებელი იყო, რომელიც რამდენიმე ათეულ მოწაფეს აერთონებდა. ასეთივე მდგრამარეობა იყო ქართველი ხალხის ინტერესების გამყიდველ. მენშევკების დროსაც.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სასწავლებლების ქსელი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ამჟამად საქართველოში 51 სასწავლებელია ხელოვნების დარგში. 1936 წლიდან 1941 წლამდე სულ გამოშვე-

ბულია უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაცია ციის 1573 მუშავი.

ქართველმა ხალხმა თავისი მრავალსაუკუნიანი ისტორიის მანძილზე ხელოვნების დამდალი ძეგლები შექმნა, რომელთაც საერთო საკუთრივი. მნიშვნელობა აქვთ. მეფის მოხელეების ბარბაროსულად ანადგურებდენ და ძარცვაუდენ სიძევლეთა ძეგლებს. დელი ქართული ხელოვნების ძირიფასი ნიმუშები ყაჩალურად დაიტაცეს ქართველი ხალხის უბოროტესა მტრებმა—მენშევკებმა საქართველოდან თავისი სამარტვინონ გაქცევის დროს.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიეკუთხა განსაკუთრებული ყურადღება ქართული ხელოვნების ნიმუშთა დაცვას. უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობაა ჩატარებული მატერიალური კულტურის ძეგლთა დაცვასა და აღდგენის დარგში. ამ მინით გადადებული იყო 5.730.000 მანერი. ჩატარებულია მთელი რიგი არქეოლოგიური გათხრები, რომელმაც მეტად ძირიფასი მასალა მოვალეა საქართველოს უკველესი კულტურის შესასწავლიდ.

ქართველი ხალხი საბჭოთა კანონის ერთეულთი უძველესი ხალხია, რომელმაც ჯერ კიდევ შორეულ წარსულში შექმნა მაღალი კულტურა, დიდი ხელოვნება. ამ ხელოვნების მრავალმა ნიმუშმა სამუდამოდ შეინარჩუნა საერთო-საკუთრივი მნიშვნელობა. ამ ხელი და მღიღარი კულტურის ნადვილი მეცვიდრეა ოქტომბრის რევოლუციის მიერ განთავისუფლებული ქართველი ხალხი, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლების არსებიბის განმვალობაში სრული შესაძლებლობა მიიღო გაშალოს და განვითაროს თავისი ბრწყინვალე ნიჭი.

წარმატებები, რომელსაც საქართველომ მიაღწია 20 წლის მანძილზე, შედეგია ქვეყნის საწარმოო ძალათა მძღვრი აღმრმანებისა, შრომის სოციალისტური ორგანიზაციისა, ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნელი ნაცონალური პოლიტიკის უზრუნველყოფა და გარებისა. ამ პოლიტიკას უნდა გამაღლოდეთ, რომ ასე ბრწყინვალე გაიტურჩინა ეკონომიკა, აყვავლა ხელოვნება, შექმნა ფორმით ნაცონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურა.



გულავა ჟურნალი

## მოგონების ნაცუვაზი

ღრუბლიანი და ულიმლამო იყო უბადრუკ მენეჯერების უკანასკნელი დღეებიც.

მე ქუთაისის ოატრში ვმსახურობდი მაშინ დასის ხელმძღვანელად და აქაც კარგად ვიგრძენით მათი უდღეურობა.

„ობილისი დაცუაო!“ — მოიტანეს ამბავი დედაქალაქიდან ქუთაისს გამოქცეულმა მენეჯერების მთავრობის წარმომადგრნლებმა და... ხალხი დააფეხს.

არავინ იყო პატრონი განემარტა მასისათვის, რომ ბოლშევკიშის მართლა შოპქონდა ხალხის ნამდევილი თავისუფლება და არა „დაცუება და განადგურება“.

ბოლშევკები ცახებში იყვნენ მოთავსებული, მათი პრესა დახურული იყო და სიმართლის ნაცვლად ხალხში შიში ითხებოდა და ბოლშევკებისადმი.

ამ შიშინობაში კი უნამუსოდ გვროვებდა მაშინდელი მთავრობა და სანუგებოს არას იძლოდა.

თვითონ მიებარებოლწენ და ხალხის არც ერთ ფეხს ყურადღებას არ აქცევდნენ.

თვითონ მიპქონდათ ჩვენი ხალხის მონაგარი, განდი და დოვლათი და აქ კი არას ვიტოვებდნენ.

როდესაც ქუთაისში თავ-მოყრილმა მშერლებმა და არტისტებმა მიმართეს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს — რამე სალსარი მაინც დაეტოვებინათ დროებით „სულის მოსაბრუნებლათ“, პირველ-ხანად უარი სოჭვეს, შემდეგ შერცხეათ და რაღაც ორიოდე გროში გადმინავდეს.

მათი ქუთაისიდან გასცლის შემდეგ კი დანამდგილებით გავიცეთ, რომ სახელმწიფო ფულები ასეულ ფუთობით დაწვაოთ ქალაქში.

ასე მათ უპატრონოთ დააგდეს ქუთაისის შშობილები და მისი ინტელიგენცია.

დააგდეს, დააგდეს, მაგრამ საშინელი ხედიც გაავრცელეს, ვითომ ბოლშევკები რომ შემოვლენ, იქნება საშინელი ხოცვა-ქლეტა,

არავის დაზოგავენ, განსაკუთრებით „გალსტუკიანებს“ და მოელ ქალაქშაც გაანადგურებენ.

კარგად წარმოიდგენთ ქალაქში როგორი აურზაური ატყოდებოდა და რა პანიკაც შეიქმნებოდა.

მართლაც წითელარმის შემოსვლისას ქალაქი თოთქო გამოცალიერდა, ქუჩიში არავინ ალარ კაჭანებდდა და თოთქო შცდიდა თავის „ბედს“ თავის ბინაზე.

გავიდა ერთი დღე, არაფერი მომხდარი. გავიდა მეორე, მესამე — არაფერი, იქა-აქ ხალხის გამოჰყო თავი, ზოგან ბაზარშიც გა-ჩნდა სანოვავა, გაიხსნა სასალილობიც და...

მეც მოვილე უწყება, რომ გამოვცხადებულია ვალების კომენტარითან.

ვეახელ, დიდის თავაზით მიმილო, დარწმუნდა, რომ მე ვიყავ ადგილობრივ დასის ხელმძღვანელი. წინაღადება მომცა თოატრის კარები გამეორ, წარმოდგენები გამემართნა და სეზონი გამეჩადებინა.

ეს ჩემთვის ძნელი მოსახერხებელი იყო, რაღვენაც ათასი კორებისაგან დაშინებული არტისტები შემოფანტული მყავდა. ქუთაისში სამოიდე მსახიობის გარდა არავინ ალარიც. მაშინ წინაღადება მომცა, რომ ქუთაისისათვის ხელვნების კავშირის უგრევდი შემედგინა, მეზრუნა არტისტების მოგროვებისათვის და ამის გამო წავსულიყავ თბილის მთელის ჩესპუბლიკის მასშტაბით გამართულ ხელვანთა მომავალი კავშირის ყრილობაზე.

ცანადია, სულ ტყუილი გამოდგა დარხეული საშიშარი ხედი — პირიქით, თავაზიანი მოპყრობა, მოწოდება მუშაობისათვის შენ საყვარელ საქმის სამსახურად.

ამან, აშეარა, მეც გამამხნევა და ის იყო ჩემის ინციდურივით დაარსდა ქუთაისშიც ხელოვანთა კავშირი და მეც გავემზიარე თბილის ყრილობაზე დასასწრებლად და



ქუთაისისოფის არტისტების მოსაგროვებლად.

გვაში ქუთაისის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ გამატანა ერთი ახალგაზრდა კაზაკი, მშვენიერი ყმაწვილი, რომელიც საკამაოდ კაზაკ ერკეოლდა ხელოვნების საკითხებში და ამასთანავე იყო თეატრის დიდი მოყვარული. სამწუხაროდ მისი გვარი აღარ მახსოვეს, მაგრამ მისი მეობრული მოპყრობა და ამხანაგური განმარტება, ჩემთვის მაშინ უცხო ზოგიერთ საკითხებში, მუდამ დაუყიწყარი დარჩება.

თბილისში უცხო დაგვჭვდა საბოლოო ჩამოყალიბებული ხელოვნება კაშირი, რომლის პირველ თავმჯდომარებრივ განსვენებული ვალერიან გუნია იყო აჩქური.

ყრილობამ, თუ არ ცდები, სამი დღე მოანდობა თავის მუშაობას, გარჩეია ბევრი დროული საკითხი და გამოიმუშავა სათანა-ოო ღონისძიებები.

სხვათ შორის ყრილობას უნდა აეჩჩია კანტორები, განათლების სახალხო კომისა-რიატოან გაშინ ასებულ თეატრალურ გან-ყოფილების უფროსისა, რომელიც უნდა მოელს ასესუმბლიკაში გაძლილოდა სათეატ-რო საქმეებს.

თ აქ ყრილობამ პატივი მცა, ამიჩჩია თეატრალურ განყოფილების გამგის თანამდებობაზე კანტილატათ და წარმატებინა სახ-კომისაბჭოში დასატეატრულობათ.

დამტკიცებასაც არ დაუყოვნია და გვლობდენ შევუდები ჩემი მოვალეობის შესრულებას.

ძალიან უცხო იყო ჩემთვის ეს საქმე. ე. ი. წმინდა წყლის აღმინისტრაციულ სამსახური, მაგრამ, რადგან ჩემს მუშაობაში შემომზედებითი მომენტიც ერთი, ამან გამომხვევა. თან, რაც უმთავრესობა, გამო-ცდილ პარტიულ ამხანაგებისაგან კერძოთ თუ საერთო მუშაობაში, კრებებზე, თაობა-რებზე ვლებულობი სათანადო გამოცდილებას და ვერძნობდი, რომ არ ვიყვა უსა-კვდლო მუშავი ამ დიდ საქმეში.

საკეთებელი კი ბევრი იყო: დისკიდლი-ნის დამყარება თეატრებში, ძალთა სათანა-

დო შერჩევა, თეატრის მიმართულების ზუსტება, მაშიადამ სატირო, საბჭოთა რე-პერტუარის შექმნა, ტექნიკურ პირობებთა გაუმჯობესება, აღორძინება და სხვ.

თანდათანობით, მაგრამ ძალიან მალე ყველა ამით მოუჩინა საოცევები, დაზუსტდა მუშაობის გეზი და გულს უხარისტა, რომ თეატრი თანდათან გამოიდიოდა ერთგვარ დაბეჭულობისა და უპერსპექტივო მუშა-ობისაგან.

აქ კიდევ შემთხვევამაც დიდათ შეგვიწყო ხელი.


ქართულ თეატრის ამ ხანებში დაუბრუნდა უცხო დახელოვნებული, სახელმოსკოპილი რეჟისორი, მოღალ-ნიჭიერი კოტე მარგანი-შვილი.

და მართალია მან, პირველ ხანებში, ერთ-გვარის ელევტრიზმით წაიყვანა თეატრის მუშაობა, მაგრამ მაინც ჩენი თეატრი გა-მოიყვანა მაღალ-მხატვრულ გზაზე და ძალ-თა შეხამებული გამოყენებით მისცა ნოჭი-ება ნიადაგი მომავლ ქართულ, ნამდვილ საბჭოთა თეატრს.

მან, გარდა იმისა, რომ შემოიზარდა თუ ვის გარშემო ჩენი მექანი სახელმოვანი და შრალესად დაწილდოვებული და დაფა-სებული არტისტები, ჩერისორები, მხატვ-რები და მუსიკოსები, მანვე მისცა დიდი სტიმული ჩენს ღრამატურგიას, რომ უცხო იღეოლოგიურად უფრო მომწიფებული და მხატვრულად უფრო დამაჯერებელი ნაწარ-მოებები შექმნათ.

მას აქეთია ჩენი თეატრის ზრდა არ შე-ნელებულა და უკვე ვედავთ, თუ საქარ-თველში საბჭოთა ხელისუფლების დამყა-რების 20 წლის თავზე რა თეალსიჩინ მა-რაგოთა მოვიდივაზ: არპერული, არტის-ტები, მოელი ღონე თეატრალური ხელოვ-ნებისა იძლევა შვენიერ მაჩვენებლებს.

და რომ ვიგონებ წარსულ ხანას, მე უკვე ხანდაზმულსა და ბევრის მომსწრეს თეატრ-ში, ზოგჯერ ყოველივე ეს ზოაპარი მგონია. სასიამოვნო კია, როცა ზღაპარი ცოცხლივ აგიძღვება და შეწო ამ ზღაპარულ გარემოც-ვაში ცხოვრობ და სუნთქვა.



୪୬୪୭



შრ. ჩეიჯვაძე

## ქართული სამუსიკო კულტურის აღმავრობა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XX წლისთვის ქართული სამუსიკო ხელოვნება უდიდესი მიღწევებით ხდება.

რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ როგორი გიგანტური ზრდა განიცადა ქართულმა საბჭოთა სამუსიკო კულტურამ, საჭიროა თვალი გადავაკლოთ ქართული მუსიკის მრავალსაუკუნიან წარსულს.

ქართული სამუსიკო შემოქმედება, რომლითაც მუდამ სიმართლიანად ამაყობდა ქართველი ერი, ღრმადა შექრილი თავისი ფესვებით შორეულ საუკუნეებში. მრავალი საუკუნის მანძილზე ქართულ სამუსიკო ხელოვნებას ბევრი დაბრკოლება ერობდებოდა წინ და უშლდა ხელს მის განვითარებას.

უძველესი ქართული ხალხური სიმღერა-გალობის მრავალმა საუკეთესო ნიმუშმა, რომელთა დასაბამიც, დღემდე ცნობილი ისტორიული საბუთების მიხედვით, ეკუთვნის გერ კიდევ IV საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ვერ მოაღწია ჩვენამდე და შთანთქმა საქართველოზე აღმოსავლეთისა და დასავლეთის უძლიერესი სახელმწიფოების — რომის, საბერძნეთის, ირანის, მონლოლეთისა თუ სხვათა ვერაგული თვდასახმის შედეგათ; ისინი აჩვენენ და ცდილობდნენ ცეცხლითა და მახვილით მოესპონთ ყოველივე, რაც კი ეროვნული კულტურის სახეს ატარებდა.

მაგრამ ქართველი ერი, რიცხვით ცირკე, მაგრამ ბრნებით დიდი, სულით მაგარი და მუდამ ბრძოლაში შეუცვირი, მედგრად ძირძოდა ეროვნული სახის შენარჩუნებისთვის, ფხიზლად სდარაჯობდა თავისი კულტურულ სიმდიდრეს, ხელოვნების ძვირფას საუნჯეს — სამუსიკო შემოქმედებას, რომელსაც ახლოვს აგრეთვე თავისი აყვავების პერიოდებიც.

მათ შორის ღირსებულების XII საუკუნის მეორე ნახევარი და XIII საუკუნის დასაწყისი, როდესაც ქართულმა კულტუ-

რამ არნახულ სიმაღლეს მიაღწია, ქართული სამუსიკო ხელოვნება მაღალ მწვერვალებს დაუფლა, ქართული მუსიკის ოსტატებმა მუშაობა გააღმავეს, დაარსეს გუნდები, შექმნეს სამუსიკო ნაწარმობები, აავდერეს ქართული სამუსიკო საკრავები და ყველგან თავისუფლად გაისმოდა ქართული მღიდარი და მრავალფეროვანი ჰანგები.

მაგრამ არ დასცალდა ქართველ ხალხს ასეთ მშეიღიობაზი ატმოსფეროში განეგრძო კულტურული მუშაობა. მტერმა უფრო მეტის სიძლიერით შემოუტია საქართველოს და თითქმის ევრის საუკუნის მანძილზე გააფიქრებული ებრძოდა და ლამობდა მის მოსპობას.

XVII-XVIII საუკუნეებში ქართული ეროვნული კულტურა მართლაც დაცემის გზაზე დამდგრა. ქართული ლიტერატურა, მხატვრობა, მუსიკა განიცდის უმთავრესად აღმოსავლერი კულტურის ძლიერ გავლენას. მეტად იყიდებს ფეხს იჩანული ენა, ზენ-ჩვეულება, გართობა, პოეზია, მუსიკა.

მაგრამ ირანულ შაპთა ნაციონალური პოლიტიკით უქმაყოფილ ქართველი მოწინავე საზოგადოება ამხედრდება და იბრძვის ქართული ეროვნული კულტურის აღმინდებისათვის. მათი შთაგონებით საქართველო თანაბათანობით იცვლის პოლიტიკურ და კულტურულ ორიენტაციას და პირს იბრუნებს გერ ეგრძობას-კენ, ხოლ შემდეგ რუსეთისაკენ, რომელსაც საბოლოოდ უკრთდება კიდევ იმ იმედით, რომ მასთან გამონახვდა საერთო ენას და შეუდგებოდა მშეიღიობაზ ცხოვრებას.

მაგრამ მეფის რუსეთმა არ გამართლა ქართველი ერის იმედი. ცარიშმის შავრაზ-მულმა კოლონიურმა პოლიტიკამ არამც თუ არ მისცა საშუალება ქართველ ერს ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის, არამედ შექმნა ისეთი შეხეოფუ-



ზაქარია ფალიაშვილის ძეგლის პროექტი

ავტორი მოქანდაკე რ. თავაძე

ლი ატმოსფერო, რომელშიც ყოველივე ეროვნული გრძნობა თანდათანობით მიეიწყებას ეძლეოდა.

მიუხედავთ ასეთი მკაცრი თვითმშეკრიბელური რეკიტისა, ქართველმა მშრომელმა ხალხმა სათუთად შეინახა ქართული ეროვნული მუსიკა და თაობიდან თაობაზე ზეპირი გადაცემის საშუალებით მოიტანა ჩვე-

ნამდე ქართული სამუსიკო ფოლკლორის უძლილრესი მასალა.

მეორეს მხრივ მოწინავე ქართველმა ინ-ტელიგენციამ XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასწყისში ხმა აღიმაღლა და დაიწყო ბრძოლა ეროვნული სამუსიკო კულტურის აღორძინება-განვითარებისათვის.

იმ დროს საქართველოში არ არსებობდა

არავითარი საზოგადოება ან ორგანიზაცია, სადაც შესაძლებელი ყოფილობით სამუშაო კოდნის მიღება. მუშაობდა მხოლოდ იტალიური საოპერო დასი, რომელმაც თბილისში იტალიური ოპერების დაფგმა დაიწყო 1851 წლიდნ. ეს ერთად-ერთი კულტურული დაწესებულება იყო, სადაც თბილის საზოგადოებას შეეძლო მუსიკალური საზრდო მიერო. მაგრამ ამ იტალიურ ოპერას როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები ახასიათებდა. ერთის მხრივ თუ მან ქართულ საზოგადოებაში აძრა პროფესიონალ-მუსიკალური ცოდნის შეძენის სურვილი, მეორეს მხრივ იტალიურმა მუსიკამ, რომელმაც დიდი გამოძახილი პპოვა ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ მოედ საქართველოში, უარყოფითი დაღი დაასვა ქართულ ხალხურ სამუსიკო შემოქმედებას, რომელშიც თანდათანბით შევიდა ქართული მუსიკისათვის უცხო ეკრობული მელოდიისა და პარმონიის ელემენტები. ქართუ-

ლი სიმღერა სახეს იცვლიდა, ხოლო ჟოველი ერთი მათგან თანდათანბით მივიწყებას ეძლეოდა, რაღაც გამომუშავდა ახალი მუსიკალური გემონვება, რომელსაც აღარ აქმაყოილებდა ძველი მამა-პაპური კილუბით და ეძებდა ახალ შთაბეჭილუბებს.

თვითმცყრობელური პოლიტიკა მიზანს მიაღწევდა, რომ ქართულ სამუსიკო კულტურას თავისი გულშემატკიცარნი არ გამოსჩინდენ და არ შეგრძოლებოდნენ ასეთ ანორმალურ მდგომარეობას.

სამოციან წლებში მ. მაჩაბელი და ოლ. ორბელიანი, რომელთაც მთელი სიმწვავით იგრძნეს შევ-ბნელი მომავალი, პრესის საშუალებით მოუწოდებდნენ ქართულ საზოგადოებას თვალები აეხილა, კარგად დაჭვიორებოდა არსებულ მდგომარეობას და გარკვეულიყო იმაში, თუ რა ელოდა ქართულ მუსიკას. გულის ტკივილთ აღნიშნავდნენ ძველი დამახსიათებელი ქართული ხალხური სიმღერების ზოგიერთი ნიმუშების მი-



თბილისის საოპერო თეატრი

„დაისი“

II მოქმედება



ვიწყების შემაძრწუნებელ ფაქტს, რომელიც უნდა მოჰქმდოდა

მდგომარეობის გამოსწორებისათვის საჭირო იყო ქართველი ახალგაზრდობის აღწურვა სამუსიკო ცოდნით, ხალხური სიმღერების შეკრება — ნოტებზე გადაღება, გუნდების დარსება და მათი საშუალებით ამ სიმღერების გავრცელება.

იმ დროს ყოველივე ამის შესრულება არც ისე იოლი საქმე იყო, რადგან უანდაბული სახელმწიფობრივი წყობილება ამას არამც თუ ხელს უწყობდა, არამც ყოველ ასეთ წამოწყებას სათავეშივე ახშირდა.


მიუხედავათ ამისა, ქართულ სახოგადოების მოწინავე წრეებში თანდათანხმდით მომწიფდა აზრი მშობლიური სამუსიკო შემოქმედების დაცვისა და შემდგომი განვითარებისა. ჭარსული საუკუნის სამოცდათან წლებიდან მოყოლებული ქართულ მუსიკას გაუჩნდა თავისი შესვეურები.

ქართველ ნიჭიერ სამუსიკო მოღვაწეთა მთელი პლეაზა — ხარლამაძი სავანელი, ალონიშვილი აზრი, დავ. ერისთავი, მიხ. მაჭავარიანი, ანდ. ბენაშვილი, მელ. ბალნეჩივაძე; ლადო აღნიაშვილი, ფილ. ქორიძე, ძმები ვას. და პოლ. კარბელაშვილები, ია კარგარეთელი, ზ. ქ. ჩხილევა — ლიდის აღმყინვით მუშაობენ სამუსიკო ფრონტზე.

1874 წელს ხარ. სავანელის ინიციატივით თბილისში ახსლება სამუსიკო — საგუნდო კურსები, რითაც საფუძველი ეყრდნობა სპეციალურ განათლებას საქართველოში და აგრეთვე ამიერკავკაზიაში.

1885 წელს ლადო აღნიაშვილის დაუღალვი ენერგიის შეღეგად ასდღება ქართული გუნდი. ზემოჩამოთვლილი მუსიკოსებისა და ჩეხი მომღერლის ი. რატიონის მემკვიდრეობით, რომელიც მოწვეული იყო გუნდის ხელმძღვანელათ, სდება ჩაწერა და პროპაგანდა ქართული სიმღერებისა. იმართება ქართული ეტონგრაფიული კონცერტები. იბეჭდება ხალხური სიმღერების კრებულები.

აღსანიშნავია, რომ ამ საქმეს დიდად ხელს უწყობენ კეთილშობილური ზრაცხვებით აღჭურვილი რესერვის ცოდნილი მუსიკოს-კომპოზიტორები — ა. კორეშენკო, ხ. გრიშ-ლოვი, ნ. კლეინვასკი, მ. იძოლიტოვ-ივანო-



რესპუბლიკის სახალხო არტისტი  
კომიტონიტორი დ. არაყაშვილი



კომიტონიტორი შ. თაქთაქიშვილი

ვი, რომელიც წერილებს სწორენ ქართული მუსიკის შესახებ და ამუშავებენ ქართულ ხალხურ სიმღერებს.

მაგრამ ყოველივე ეს ატარებს კერძო ინიციატივის ხასათს და ვინაიდან არ არსებობს არავითარი წახალისება და მზრუნველობა სახელმწიფოს მხრივ, ასეთ კულტურულ წამოწყებას არა აქვს დიდი დაპაზონი და ვერ პოვებს ფართო რეზონანს მასებს შორის; ლადო აღნაშვილის მიერ დაწყებული საგუნდო საქმე არ ჰქარებავს თავის კვალს და შემდეგში ჩნდებან მისი მიმღევარნი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში — ქართლში, კახეთში, გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში (მ. და ს. კავსაძეები, ლ. მუღალაშვილი, მ. თარხნუშვილი, ძ. ჭავჭავაძეი, ა. ერქომაიშვილი, ვ. სვიმონიშვილი და სხვ.).

საქართველოში ოქტომბრის რევოლუციამდე დღიდა დაბრკოლებების გადალახვა იყო საჭირო სპეციალური სამუსიკო განათლების მისაღებად. თბილისში არსებობდა მხოლოდ ორი სამუსიკო სასწავლებელი — ერთი ჩუსეთის სამშერატორი სამუსიკო საზოგადოების თბილისის განყოფილებისა, ხოლო მეორე — თბილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებასთან არსებული.

პირველ სამუსიკო სასწავლებელში, რომლის მოსწავლეთა კონტინგენტი შესდგებოდა უმთავრესად თავად-აზნაურთა და მეფის მოხელეთა ბავშვებისაგან, აშარაა არ ჰქონდა ადგილი ქართულ სამუსიკო კულტურის შესწავლას, ხოლო ნაციონალური კადრების აღსრულა ხომ აზრადაც არავის მოუვიდოდა, რადგან ეს ეწინააღმდეგებოდა კოლონიალურ პოლიტიკას, რომელიც მიმართული იყო ეროვნული კულტურის აღორძინების წინააღმდეგ.

ასეთი სისტემის მეობებით საქართველოს დიდანა არ შეეძლო მოეცა კვალიფიციური მუსიკის — კომპოზიტორები, მუსიკოლოგები, დირიჟორები, ვოკალისტები და ინსტრუმენტალისტები.

რაც შეეხება საქართველოს ფილარმონიულ საზოგადოებას და მასთან არსებულ სამუსიკო სასწავლებელს (დირექტორი ზაქ. ფალიაშვილი), რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ქართველ მუსიკოსთა ერთი ჯგუფის



კომპოზიტორი გ. კოლაძე



კომპოზიტორი გ. ტუსუა

კერძო ინიციატივით (ან. ყარაშვილი, აა კარგარეთელი, ზ. ჩხილაძე) და რომელიც ძირითადში მიზნად ისახადა ქართული სამუსიკო შემოქმედების „შესწავლას, მის ფართო პროპაგანდას და ქართველი კალიების აღზრდას, მისი უფლებები მდენა შეზღუდული იყო, რომ ამ საზოგადოების არსებობის მანძილზე (1903—1918 წ.) მან ვერ შესძლო სასურველი ეფექტის მოცემა.

აქვე აღსანიშნავია ცნობილი სამუსიკო მოღვაწის ია კარგარეთელის ცდა ევროპული და რუსული ოპერების ქართულ ენაზე დაღმისა, რომლის გადმოთარგმნაც თვითონვე იყისრა. გადაითარგმნა ოპერები: „სევილიელი დალაქი“ გ. როსინისა და „დემონი“ ან. რუბინშტეინისა, რომელთავან პირველი დაიდგა 1905 წლის მაისის 5-ს, ხოლო მეორე — 1906 წლის იანვრის 22-ს. მაგრამ ამან არამც თუ წახალისება გამოიწვია, არამედ კინდამ სიცოცხლეს გამოასამა ამ საქმის ინიციატორი, რომელიც



„აბესალომ და ეთერი“ ნ. ქუმისაშვილი — აბესალომი



„აბესალომ და ეთერი“ ნ. ქუმისაშვილი — აბესალომი ამავე დროს პერის დირექტორის წევრი იყო და წინ ელობდებოდა „რეაქციონურ ნაბიჯებს თეატრში. ერთ-ერთი სპექტაკლის შემდეგ ია კარგარეთელს თავს დაესხნენ შავრაზმელები, რის შედეგადაც მან სამუდამოდ დაჰყრგა მარჯვენა ფეხი და ხელი.

ი. როგორ აჯილდოვებდნენ „ხელუშუობრნენ“ ქართველ მუსიკოსებს მათ მიერ დასახული მიზნების განხორციელებაში.

ამ პერიოდში სამუსიკო ასპარეზზე ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ზაქ. ფალიშვილი, ან. ყარაშვილი, გ. ნატრაძე, მელ. ბალნჩივაძე, ნიკ. სულხანიშვილი, კ. ფოცხვერაშვილი, ფ. ქორიძე, ზ. ჩხილაძე, ივ. ფალიაშვილი, ნიკ. ქართველიშვილი, ხოლო რუსეთში ლიმ. არაყაშვილი, რომელიც საქართველოში ბრუნდება 1917 წელს.

ამავე წელს სამუსიკო ასპარეზზე გამოდიან კომპოზიტორები ვ. ლოლიძე და რევ. გოგინაშვილი.

შომღერალთა შორის, ჩომლებიც ამ პე-  
რიოდში მუშაობდნენ, აღსანიშნავია ო. ბა-  
ხუტევგილი—შულგინისა, კალანდაქე—აგა-  
სოვისა, ევსანიშვილი, ვანო საჩავიშვილი,  
სანდრო ინაშვილი, ვ. ლორთქიფანიძე, გ.  
ლვინიაშვილი, გ. ჭურხული, ა. ჭუმბურიძე,  
აკოფაშვილი.


აი, უმთავრესად ქართული სამუსიკო ხე-  
ლოების წარმომადგენლები 1917 წლის  
ჩევოლუციამდე და აგრეთვე საბჭოთა ხე-  
ლისუფლების დამყარებამდე საქართველო-  
ში, რადგან ქართულ სამუსიკო კულტურას  
არავითარი წინსკლა არ დასტყობია მენე-  
ვიკური მთავრობის დროს.

მართლია მათი ბატონიბის პერიოდში  
ოპერის სცენზე დადგა სამი ქართული  
ოპერა — „თქმულება შოთა რუსთაველზე“  
კომპ. დ. არაყიშვილისა (1919 წ. თებერ-  
ვლის 5-ს), „აბესალომ და ეთერი“ კომპ. ზაქ.  
ფალიაშვილისა (1919 წლის თებერვლის  
21-ს) და „ქეთო და კოტე“ კომპ. ვ.  
ლოლიძისა (1919 წლის დეკემბრის 11-ს),  
მაგრამ ეს იყო გამოწვეული არა მთავრო-  
ბის მზრუნველობით, არამედ კომპოზიტორ-  
ების კერძო ინიციატივით. ორი ოპერა —  
„აბესალომ და ეთერი“ და „თქმულება შო-  
თა რუსთაველზე“ დაწერილი იყო ჯერ კი-  
დევ 1914—1916 წლებში და მათი ავტორე-



კომპოზიტორი ა. ანდრიაშვილი

ბი, აღტყინებული ეროვნული გათვაიცნო-  
ბიერებით, დიდის გატაცებით მუშაობდნენ  
თავისი შემოქმედების საჭაროდ გამოწანი-  
სათვის. კომიკურ ოპერა „ქეთო და კო-  
ტეს“ შექმნაც, რომელიც დაიწერა  
1917-1918 წლებში, მიწერება კომპ. ვ. დო-  
ლიძის ენერგიას, შრომის მოყვარეობას და  
ქართული მუსიკისადმი დიდ სიყვარულს.



თბილისის საოპერო თეატრი

„ქეთო ყაჩალი“

II სერათი



„დაისი“

ე. სოხაძე—მარო

დამახასიათებელია მაშინ ჭერ კიდევ მთლად ახალგაზრდა ქომპოზიტორის ჩერების გოგნაშვილის შემოქმედების ბედი. მან ზემოთხამოთვლილ ოპერებშე ერთი წლით აღრე — 1918 წლის მარტში დასდგა ყოფ-ჯართულ დრამატულ საზოგადოების კლუბში თავისი ოპერა „ქრისტინე“, რომელსაც დირიჟორობდა ნიკ. ქართველიშვილი. მარ-თალია, ოპერა ტექნიკურად სუსტი გამოდგა, არც სამუსიკი ენის მხრივ იყო დამაკ-მაყოფილებელი, რის გამო იგი რამდენიმე საექტაკის შემდეგ მოიხსნა, მაგრამ არ-კინ გაუწია მზრუნველობა კომპოზიტორს, რომ მას თავისი სამუსიკი კვალიფიკაცია ამაღლებდნა და შემდეგში უკეთესი ნაწარ-მოები დაწერა. განმარტებით დაჩინილ კომპოზიტორს, რომელსაც არ აღმოაჩნდა სათანადო ნებისყოფა, გული აუცილუვდა, რის შედეგადც მან სერიოზულ მუშაობას ველაზ მოჰკიდა ხელი და ვერ დაუთლა კომპოზიციის მაღალ ტექნიკას.

აღსანიშვნავია ისიც, რომ ცნობილმა ქომპოზიტორმა მელ. ბალანჩივაძემაც ვერ აუცილუვდა სძლო თავისი ოპერის „დარეგან ცბიერის“ (მაშინ „თამარ ცბიერის“) დადგმის განხორ-ციელება, რადგან ავტორს სკირდებოლა ამ ოპერის ზოგიერთი ადგილების შესწორება და პირობები კი მუშაობისათვის არ ჰქონ-და შექმნილი სათანადო.

არავინ ზრუნავდა აგრეთვე ნაციონალუ-რი სამუსიკო კადრების აღზრდაშე. ამ დროს თბილისში არსებობდა ორი კონსერვატო-რი, რომელიც ზემდგომ ორგანოებისაგან სკირო ხელმძღვანელობას მოკლებული უსისტემოდ მუშობლენენ და მათ შორის გა-მეცებული იყო ქიშპი და შულლი. ასევე უყურადღებო იყო მიტოვებული ქუთაისი-სა და თელავის სამუსიკო სახატავლებლები. უსისტემობით ხასიათდება აგრეთვე საოპე-რო თეატრის მუშაობა, რომელიც ვერ არ-ლვეს აქადემიურ შემუშავებულ ტრადიციებს და მისი მოღვაწეობა მიმმართება თვით-დენით.

მუშაობის გაჭანსალებისათვის საჭირო იყო სხვაგარი სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელიც ძირიქვესიანად გადახალისებდა საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას და მისცემდა ფარ-თე გასაქაშს მრავალსაუკუნიან ქართულ სა-მუსიკო ხელოვნებას.

ყოველივე ეს მოსახერხებელი გახდა საბ-ჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში, როდესაც იწყება ნამდვი-ლი რეკონსტრუქცია კულტურულ ფრონტ-ზე, ნამდვილი აღორძინება ქართული ეროვ-ნული ხელოვნებას.

უკვე რომა ათეულმა წელმა განვლონ მას შემდეგ, რაც ოქტომბრის რევოლუციის სუ-საბურავის ჩამდგმელ ბოლშევიკური პარტია ორი ბუმბერაზი ბელადის — ლენინისა და სტალინის ბრძნელი ხელმძღვანელობით შე-უდგა სოციალისტურ მშენებლობას საბჭო-თა საქართველოში.

პარტიისა და ხელისუფლების ყოველ-დღიური ხელმძღვანელობისა და გულმიერი მზრუნველობის შედეგად იფტერქენება და ვითარდება ფორმით ნაციონალური და ში-ნაარსით სოციალისტური ქართული სამუსი-კო კულტურა.



ლეიინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებაში მოვდება შესაძლებლობა აღვეზარდა საბჭოთა საქართველოში კომინისტორების, მუსიკოლოგების, დირიჟორებისა თუ შემსრულებელთა ახალგაზრდა კადრები,

ფართოდ გეგმები გზა საქართველოს მშრომელ მასას სპეციალური სამუსიკო განათლების მისამებად. არსდება სამუსიკო მუშათა ფაკულტეტები, ტექნიკუმები თბილისი და სამუსიკო სკოლები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.

ამჟამად საქართველოში სამუსიკო სასწავლებელების მოსწავლეთა რაოდენობა 14.000 აღწევს, რომელთაგან კონსერვატორიაში სწავლობს 276 სტუდენტი, თბილისის ოთხ და ბერიფერიის ცხრა სამუსიკო სასწავლებელში — 3.206 მოწაფე, თბილისის ათ და პერიფერიის ჩეიდმეტ სკოლაში — 6.203 მოწაფე, თბილისის სამუსიკო ოთწლედში — 178 მოწაფე და თბილისის სამუსიკო სტუდიაში — 860 მოწაფე. გაცხოველებული მუშაობა სწავლობს მშრომელთა შროის ნიშიერ ახალგაზრდების გამოვლინებისა და სამუსიკო სასწავლებელებში აღზრდისათვის.

სახეს იცვლის აგრეოვე სახელმწიფო კონსერვატორია, რომელმაც ძირიფესვანიათ გარდაქმნა მუშაობის სისტემა, რის შედეგადაც მიაღწია იმ დონეს, რომ იგი საკებით უპასუხებს ჩევნი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის კულტურულ ამოცანებს. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ითვლება წამყვან სამუსიკო დაწესებულებად და ატარებს ფრიად საპატიო და პასუხებავე მუშაობას მაღალკალიფიტურ სამუსიკო კადრების აღზრდისათვის.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ ამხანაგ ლ. ბერიას ხელმძღვანელობით, მიაქცია რა ყურადღება კვალიფიციურ სამუსიკო კადრების ნაცოლვანებას, მოკლე ხანში უზრუნველყო მომზადება ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსებისა, რომელთაც შეეძლო მოღვაწება სამუსიკო ასაპრეზე.

ამჟამად საქართველოს სამუსიკო ორგანიზაცია - დაწესებულებებში და სასწავლებებში ხელმძღვანელთა და პედაგოგთა მთავარ ბირთვს წარმოადგენს ახალგაზრდობა, რომელმაც სამუსიკო განათლება მიღლო-

აბეჭალომ და ეფერი“  
პ. ამირანაშვილი - მურამინი

საბჭოთა სინამდვილეში — თბილისის, მოსკოვის და ლენინგრადის კონსერვატორიებში. ასეთებია შ. ასლანიშვილი, ან. ბალანჩივაძე, ა. ანდრიაშვილი, ვ. გოკიელი, გრ. კილაძე, ბ. გაბარაშვილი, შ. მშველებელი, ვ. ლონძე, შ. და გ. თაქთავე შვილები, ნ. ჩიგნიძე, გრ. კოკელაძე, რ. გაბრიაძე, ა. სვანიძე, ვ. ხალაძე, შ. აზმაიოზარაშვილი, თ. ბარამიშვილი, მ. როგორსკაია, მ. კამიევა, პ. ხუჭუა, ა. ფარცხალაძე, თ. ხაბურჩანი, თ. ჩიატეგაშვილი, თ. ჭიქოვაშვილი, თ. ჭიქოვაშვილი, გ. ჭაშვილი, ლ. იშვილი, ლ. შიუკაშვილი, გ. ხახაშვილი, ა. ჩიგავაძე, დ. სლიანვა, გ. თბიაშვილი, ა. ბაჭვარიანი, ნ. გულაშვილი, დ. ლორთქიფანიძე, თ. კვირიკაძე და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლება დიდად აფასებს და ყურადღებას არ აქვებს დამსახურებულ პროფესორ - პედაგოგებს — დ. არაყა-



შვილს, ა. თულაშვილს, ა. გირსალაძეს, რ. შულგინს, ი. ასპერგას, ქ. მინარს, ს. ბარბუდარიანს, მიხალსკაიას, ნ. ვესელოვზოროვას, გრონსკის, ვ. კუტტინას, დ. შვერდოვს და სხვ., რომელთაც დაკვირვებული პედაგოგური მოღვაწეობის შედეგად აღმარტიდეს საბჭოთა საქართველოს მაღალკალიფიცური მუსიკოსები. დღეს მათ გვერდში უდგანან თავისი ყოფილი მოწაფეები და მათთან ერთად ეწევან პედაგოგის საპატიო შრომას.


აღსანიშნავია, რომ თბილისის კონსერვატორიაში აღზრდილებმა დ. გამჩეველმა, ს. ჩიგავაძემ, ცომიქმ, ფერგელმანმა, აივაზიანმა შემსრულებელთა საკავშირო კონკურსზე უმდლესი ჯილდო მიიღეს და ლაურეატის სახელი მოიპოვეს. ხოლო ს. გოცირიძე, დ. შედლიძე, დ. ბაძრიძე, ბ. კრავიშვილი, გ. ყიფიან სსრ კავშირის დიდ თეატრში წარჩინებით მუშაობენ.

დიდი მზრუნველობით არის გარემოცული განსკუთრებული ნეჭით დაჯილდოვებული მოზარდი თაობა, რომელიც მეცანეობის სპეციალურ სამუსიკო თწლელში გამოცდილ პროფესორ-პედაგოგების ხელმძღვა-

ნელობით. შათ შორის აღსანიშნავია: გ. გრიგორიანი რაგიბი, მ. იაშვილი, ყავრიშვილი, ცინცავე, ჩიქმაჭანი, ვლასენკო, კობახიძე და სხვ...

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა თავისი დაკვირვებული მუშაობით დიდად შეუწყო ხელა ახალგაზრდა დირიქტორებისა და მომღერლების გამოვლინებას, აღზრდას და სობერი მუშაობაში ჩაბმას, აგრეთვე ქართული ეროვნული სოპერო ხელოვნების განვითარებას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსაც წელს განახლებულ იქნა თბერები: „აბესალომ და ეთერი“, „თქმულება შოთა რუსთაველზე“, „ქეთონ და კოტე“ და შემდეგ დაიდგა ერთი-მეორეზე ახალი თბერები—1922 წელს „ლეილა“ კომპ. ვ. დოლიძისა, 1923 წელს „დაისი“ კომპ. ზ. ფალიაშვილისა, 1926 წელს „თამარ ცბიერი“ („დარეგან ცბიერი“) კომპ. მ. ბალანჩივაძისა, 1927 წელს „სიცოცხლე სიხარულა“ („დინარა“) კომპ. დ. არაყიშვილისა და საბავშვო ოპერა „განთიადი“ კომპ. შ. თაქთაქიშვილისა, 1928 წელს



თბილისის საოპერო თეატრი

„აბესალომ და ეთერი“

IV მოქმედება

„ლატავრა“ კომპ. ზ. ფალიაშვილისა, 1929 წელს „ცისანა“ კომპ. ვ. დოლოძისა, 1931 წელს „პარტიზანები“ კომპ. ქ. მელიქინეთ-უხუცესისა, 1935 წელს „ბათქონიძი“ კომპ. გრ. კილაძისა. კომპ. ლ. ფალიაშვილმა დაწერა სამი ოპერა: „ვეფხის ტყაოსანი“, „დედა და შვილი“ და „იავნანამ ჩა ჰემნა“. ამ თხუთმეტი წლის წინათ თბილისის საოპერო თეატრს არ მოეპოვებოდა შემსრულებელთა თავისი საკუთარი კადრი და გასტროლიონების სისტემა იყო გამოფეხული, დღეს კი თეატრს შეუძლიან იამაყოს ჩეკოსლოვანის, დირიჟორებისა თუ მომღერლების საკუთარი კადრით. — ა. წუწუნავა, შ. ალ-საბაძე, გ. უშრული, შ. აზმათარაშვილი, ო. ლიმიტრიაძე, დ. მირცხულავა, ე. სოხნძე, ნ. ცომია, მ. ნაკაშიძე, დ. შარატა-დოლიძე, ე. გრისტენინა, ნ. ხარაძე, დ. ანდლულაძე, ნ. ჭუმიაშვილი, ს. ინაშვილი, დ. გამრეკელი, პ. ამირანშვილი, მ. ყვარელაშვილი და სხვები დიდ მხატვრულ ძალას წარმოადგენნ.

ჩაც შეეხება ხალხურ სამუსიკო შემოქმედებას და მხატვრულ თვითმოქმედებას, ყველა პირობებია შექმნილი მათი განვითარების

ბისათვის. სოფლური და ქალაქური სამუსიკურები უოლელობის, აქმდე ალალედზე მიტროვებულს, საბჭოთა ხელისუფლება პირველ წლებშივე აქცევს დიდ უზრაღლებას. უნდა აღინიშნოს, რომ მას შემდეგ, ჩაც ცნობილია კომპიზიტორებმა დ. არაყაშვილმა და შ. ფალიაშვილმა ჩაწერეს და შეისწავლეს ქართული ხალხური მუსიკა (1901—1908), აღიარეს უფიქრია მმ ხაზით მოღვაწეობა. მხოლოდ ოცი წლის შემდეგ, 1928 წლიდან ეწყობა სისტემატურ ექსპედიციები საქართველოს ყველა კუთხეში ქართული სამუსიკო ფოლკლორის შეგროვებისათვის. ახალგვიჩრდა მუსიკოსები შ. ასლანიშვილი, შ. მშევრიძე, გრ. კოკელაძე, ა. ბალანჩივაძე, ს. ფარცხალაძე, ნ. ჩიგოვიძე, გრ. ჩხივაძე ფონოგრაფის საშუალებით იგრძელებონ და ნოტებზე გადაქვთ როგორც ძველი, ისე თანამედროვე ყოფა-ცხოვრების ამსახველი ხალხური სიმღერების მღიდარი მასალა... ასეთი ინტენსიური მუშაობის შედეგად ამ უადა დაგროვლია 1500-ზე მეტი ძვირფასი ნიმუში ქართული ხალხური სამუსიკო ხელოვნებისა.

დიდად შეუწყო ხელი მივიწყების გზაზე



თბილისის საოპერო თეატრი

„დგბურატა“



ნ. ცომაია—ნაწილი

დამდგრი ძეველი ქართული ხალხური სამუსიკი შემოქმედების დამახასიათებელი ნიმუშების გამოვლინებას ჩატარებული და რაიონულმა ოლიმპიადებმა, რომელიც ტრადიციულ გადაქცეა 1927 წლიდან. გმრაელ-დახალხური გუნდები, თვითმომქმედი მხატვრული სამუსიკო წრეები, მეჩინგურეთა და

ზოგიერთ მათგანის პირველი გაერთიანება მოხდა უმაღლეს სასწავლებლებში არქიტექტურული განათლების შემოღებასთან ერთად, — მაშინდელი სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის ფარგლებში არქიტექტურული სპეციალი-

ბის და 1922 წლის განაფხულიდან საქართველოს სამატვრო ყადამისათან არქიტექტურული ფაკულტეტის შექმნით.

ეს ამ ორ უმდლეს სასწავლებელში პირველად გაერთიანდნენ საქართველოს ტერიტორიის მყოფი გამოყილ არქიტექტურული ძალები დიადი სოციალისტური მშენებლობისათვის ახალგაზრდა არქიტექტორების მოსამზადებლად.

უმაღლეს სასწავლებლებიდან არქიტექტორთა პირველი გამოშვებანი ნიშნავდნენ კოლეგტური მუშაობით აზრიდილ არქიტექტურულ შემოქმედებითი საზოგადოებრიობის ჩასახვას. რამდენიმე წლის შემდეგ მთელ დიად ს. ს. რ. კავშირში გაფორმდა სამხატვრო-პროფესიულ გაერთიანებათა შე-



საქართველოს მთავრობის სასახლე

შოქჟედაბითი სისტემა — ასე შეიქმნა 1935 წელს საქართველოს საბჭოთა არქიტექტორების კავშირი. მასში ღლეს გაერთიანებულია საქართველოს 250-ზე მეტი არქიტექტორი. იმ 5 არქიტექტორთან შედაბით, რომელიც 20 წლის წინათ იყო საქართველოში, ღლეს 50-ჯერ მეტია.

ასეთივე გიგანტური ნაბიჯით გაიზარდნენ თვით არქიტექტურის ამოცანები. ჩევოლეციამდე, მეფის რეემის დროს, თბილისი, კავკასიის მხარის აღმინისტრაციული ცენტრიც კი გაღატავებულ, საქალაქო მეურნეობის მხრივ ჩამორჩენილ ქალაქს წარმოადგენდა. დანარჩენ ქალაქებშე და დასახლებულ პუნქტებშე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

განვლილ 20 წელში ყველაფერი გამოიცავა, გამოიცავა ძირებულად და ასე-ბითაც:

ცხადია, ეს ერთბაშად და პირველივე წლებში არ მომდარა. სახელმწიფო გარდამნის მასშტაბით სხვა უფრო საჭიროებრივ საარსებო ამოცანები იყო, რომელიც პირველ წლებში პირველ აღგიზე იდგნენ. გარდა ამისა, საქართველოში ჯერ თვითონ არქიტექტურული მუშაკების მომზადება იყო საჭირო.

გარდატეხა მოხდა 1933 წლის სექტემბერში თბილისის საბჭოს პლენურზე ამხანაგლ. ბერიას ისტორიული გამოსკლის შემდეგ. მან წამოაყენა საბრძოლო ამოცანა —




მარქს-ენგელს-ლენინის-ინსტიტუტის თბილისის ფილიალის შენობა

თბილისის გარდაქმნა საბჭოთა კავშირის სანმეუშო ქაღაცებად.

ამ მომენტიდან წელება თბილისის გრანდიოზული გადაკეთების განხორციელება: შექმნილია კომარშირის ხეივანი თბილისის ზევით ძევლი ციხე-ჯაშის ნანგრევების ახლოს; გაქანებით ფართო, ასელისთვის ნელი, კალიავესის სახელობის აღმართი (გუშინდელი ვიწრო, ბინძური, ფრიალო ციციანოვის აღმართის ნაკვლად); ძევლი ველაბარი მთელი თავისი გუშინდელი „განაპირა“ ნაწილით გადაქცეულია ქალაქის კეთილმოწყობილ რაობად; ხელახლა დავგვმილი და ძირითად არტერიებთან დაკაშირებულია თბილისის მარჯვენა ნაპირის დასავლეთის ბოლო: საბჭოთა კავშირის გმირების მოედანი, ჩელუსკინელების სახელობის ხიდი, ვაგზლის ქუჩა; ბერიას სახელობის მოედნის ჩეკონსტრუქციის შემდეგ ყოფილი სასახლის ვიწრო ქუჩა გადაქცეულია ფართო ქუჩად; მტკერის ნაპირები ქალაქის ცენტრალური ნაწილის დიდ ნაკვეთებზე.

გარდაქმნილია კეთილმოწყობილ საზაპრეზებული ქუჩებად; ყოფილი მაღალების კუნძულზე, ქულაქში არსებულ სხვა პარკების მსგავსად, შექმნილია ახალი პარკი.

ბუნებრივია, რომ ამ გარდატეხასთან დაკავშირებულია დაგეგმულობის დიდი ზოგადი სამუშაო, როგორც თბილისისათვის, ისე საქართველოს სხვა, დიდ და პატარა, უწინ არსებულ და ახლად დაარსებულ ქალაქებისა და მრავალზეცხოვან კურორტებისათვის. სოციალისტური ჩეკონსტრუქციის პროექტები შექმნილი იყო თბილისისა და სოხუმისათვის, ფოთისა და ბათუმისათვის, გორისა და სტალინისათვის, ქუთაისისათვის და სხვ.; მათგან მხოლოდ პირველი ორი პროექტი საქართველოს გარეთ იყო დამუშავებული, ყველა დანარჩენი კი შედგენილია თბილისის ორგანიზაციებში საქართველოს ახალგაზრდა არქიტექტურული ძალების მიერ: აქევ დამუშავდა აგრეთვე ტყიბულის, ზესტაფონის ფერმარაგანეცის ქარხნის, ქუთაისის აზოტ-ტუკის კომბინატის,



თბილისის სტალინის სახელობის სანაპირო ქუჩა



### თბილისის კინო-თეატრი „რუსთაველი“

ინგურის ქალალდის კომბინატის და მრავალი სხვა სამრეწველო ცენტრის პროექტი, აგრეთვე უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში დაწყებული ან დაპროექტებული მშენებლობის რეკონსტრუქციის გეგმა.

სპეციალური ორგანიზაცია ატარებდა საქართველოს კურორტების დაგეგმვის და რეკონსტრუქციის სამუშაოს. აბასთუმანშა და ბორჯომშა, — ძევლმა ცნობილმა კურორტებმა, მიიღეს დაგეგმვის და რეკონსტრუქციის სქემები. ძირითადი დაგეგმულობის ნახაზი შექმნილია კურორტ წყალტუბისათვის. აგრეთვე არსებობს ფსიქცებას (ყოფილი ახალი ათონების) რეკონსტრუქციის გეგმა და დასახულია გაგრის დაგეგმვა.

ქვეყნის ეკონომიკის და ძლიერების ზრდასთან ერთად გიგანტური ნაბიჯებით მიმდინარეობს საქართველოს კულტურული ცხოვრების ზრდა. ას ათასობით მოწაფეებისათვის აშენდებულია ასპარეზი სკოლები, ინსტიტუტები და სხვ. მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებელი დებულობებს ახალ შენობებს, როგორც, მაგალითად, სამედიცინო ინსტიტუტი (პროექტის ავტორი

არქ. შავიშვილი), სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კორპუსი (აშენებულია არქ. შავიშვილის მიერ), ტრანსპორტის ინიციატივისტური (აშენებულია არქ. გ. ნებრიძის მიერ).

სარულად განსაკუთრებული აღგილი უკირავს ამ ნაგებობათა შორის გარესა-ენგელს-ლენინის ინსტიტუტს, რომელიც აგებულია ამხანაგ ლ. ვ. ბერიას ინიციატივით. ეს პირველი შენობაა საქართველოში, სადაც გამოყენებულია ქვეყნის მდიდრი შესაძლებლობანი ქვეს მასალის მხრივ (ფერადად თირი, მარმარილო და სხვ.) და რომლის მშენებლობაზეც აღდგენილი იყო ხალხური ხელოვნების ზოგიერთი დარგები (ცლევა, სხმა და სხვ.).

თბილისის გარდაქმნის იმავე გეგმით მიმდინარეობს მისი გაშვერებულება სხეადასხვანის თვალსაჩინო შენობებით. ასეთა „დინამის“ სტადიონი, რომლის აშენება დაიწყო ჭერიდევ 1933 წელს. ეს არის თვალსაჩინო, იმპოზანტური შენობა, რომლის ფორმებში გამოყენებულია ქართული ისტორიული არქიტექტურის ნიმუშები და

ტექნიკის ახალი მიღწევები (არქ. არჩ. ქუჩარიანი). ასეთია ცირკი, აგებული ქალაქის ახალ არტერიაზე ჩელუსკინელების ხიდის, სტალინის სახელობის სანაპირო ქუჩის და გიორგის მოედნის ზემოთ (არქ. სატექნიკი, ნეპრინცევი და ურუშებე). ასეთია კინოთვარი „რუსთაველი“, რომელიც საინტერესოდ არის მოფიქრებული და შემკულია ფიზიკულტურელის, მუშავი და კოლეგურნის ქანდაკებით (შენგებულია აკად. ნ. სევერინის მიერ, ქანდაკები კ. თოფურიძისა). კინო „რუსთაველი“ დღას საქართველოს მუზეუმის გვერდით, რომლის ფასაზე გაფორმებული იყო 1926—28 წლებში, მთავრობის სასახლის პირდაპირ და რუსთაველის პროსპექტის ამ ნაკვეთზე ვქმნის შეწყობილ ანსამბლს.

თვით მთავრობის სასახლის შენობა—საქართველოს ერთერთ უდიდეს არქიტექტურულ ნაგებობათა რიცხვს ეკუთვნის, რომლის პროექტმა (ვატორი პროფ. კ. კოკორინი) უკვე შემნებლობის პროცესში განიცადა მნიშვნელოვანი ცელიება. სასახლეს აქვთ პროსპექტისაკენ გასნილი ეზო ღია კიბეებით, სკეტებით და სხვ. ქართული არქიტექტურის ისტორიული მემკვიდრეობის გამოყენების ცდა ამ შენობაში შემთხვევით სასიათს ატარებს.

ასევე მიმდინარეობს შემნებლობა სხვა ადგილებზეც, რაც გამოწვეულია შერომელი ხალხის კულტურული მოთხოვნილების გიგანტური ზრდით. ცალკე უნდა აღვნიშნოთ ახალი გრერალური გეგმის მიხედვით ქ. გორის შემნებლობის სრულიად ახალი, ჩქარი აღმავლობა (გეგმა დამტუავებულია არქ. ლ. სუმბაძის მიერ). ქალაქის საქართველოში შენდა სასტუმრო, სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამსახურო მუზეუმი, კინო, თეატრი, ძეველი ციხის მშვერალზე გაშენებულია პარკი; სახლზე, სადაც მხანაგი სტალინი დაბადა, აღმართულია პავილიონი და სხვ.

ბუნებრივია, რომ საქართველომ, რომელსაც საერთოდ, და კერძოთ არქიტექტურის დაზგვი ძეველი მდიდარი კულტურა გააჩნია, წარმაყნა მშმობლიური არქიტექტურული მემკვიდრეობის გამოყენების პრობლემები. ამ მხრივ ცდები წარმოებულ იქნა საბჭოთა

ხელისუფლების დაშვარების პირველ მუსტახმარებელი შენები (რკინიგზის საშმარითოებლოს შენობა თბილისში — არქ. მაღალოვი და განსკუთრებით საქართველოს მუშევრის შენობის ფასადი — აკად. სევერინვა).

ნაციონალური არქიტექტურის ნიმუშების გამოყენების საინტერესო და ფრთხოობგანთქმულ მაგალითს წარმოადგენს საქართველოს პაკილონი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ქ. მოსკოვში (არქ. ა. ქურდაიანისა და გ. ლევავას პრივეტი).

საქართველოს საბჭოთა არქიტექტორების კამპრისის ინიციატივით 1940 წლის დეკემბერში თბილისში მოწვეულ იქნა ნაციონალური არქიტექტურის საქართველში საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ტაჯიკისტინისა და კაზახსტანის არქიტექტორთა კონფერენცია მოსკოვის, ლენინგრადისა და უკრაინის წარმომადგენლოთა მონაწილეობით. კონფერენციაზე გამომედანდა არა მარტო სოციალისტური შინაარსისათვის ნაციონალური ფორმის ძიების ის დადგითი შედეგები, რომელიც არსებობს ჩენი კავკავირის ცალკეული რესაულივების თანამედროვე საბჭოთა არქიტექტურაში, არამედ უკანასკნელი წლების მნიშვნელი თბილისში წარმოებული შემნებლობის ზოგიერთი სურტი მხარეებიც.

სურტად იქნა მიჩნეული კომინტერნის ქუჩაზე აგებული საცხოვრებელი სასახლის, ქ. გორის ზოგიერთი შენობას, კარიბიდოფრის არქიტექტურული გაფორმება.

დაპროექტების ჩამორჩენა რეალური მშენებლობისაგან, რაც ჩენი პარატეგის ერთერთ სუსტ მხარეს წარმოადგენს, გამოშეარავებულ იქნა მოთლი თავისი სიღრმით.


საქართველოს არქიტექტორთა კოლექტივის წინაშე განსაკუთრებულით დიდი ამოცანები დგას. ახალი საცხოვრებელი საბჭოების გაფორმების საკითხი ერთერთ როტულ ამოცანას წარმოადგენს. გარდა ამისა, ქალაქის წინაშე დგანან აგრეთვე კულტურის არახული, ჩქარი ზრდის მიერ დასმელი სხვა დიდი არქიტექტურული თემებიც, რაც გამოწვეულია სრულიად ახალი კულტურული ორგანიზაციების შექმნით და მათი ჩქარი ზრდით; ზოგიერთი მათგანი მოთავსებულია

შემთხვევით სახლებში, ზოგი უკვე დიდიძანია, რაც აღარ ეტევა მათვის განკუთვნილ შენობებში, მესამენი სრულიად მოკლებული არიან ბინას და სხვ. ამ დიდ ოქტოტეტურულ ამოცანათა რიგში დგას საქართველოს მეცნიერებათა აქადემიის, თბილისის სამხატვრო აკადემიის, „მეტენს“ ხელოვნების მუზეუმისა და საქართველოს მუზეუმისათვის, რომელიც თავისი კოლექციების რიცხვით რამდენიმერმე გაუსწორ მისთვის განკუთვნილ ფართობის, ახალი შენობების აგება. აგრეთვე აღსანიშნავია გამოფენებისათვის სპეციალური შენობების უქონლობა.

ყველაფერი ეს — მორიგი დიდი ამოცანებია საარქიტექტურო მუშაობისათვის. არსებობს „მეტენს“ ხელოვნების მუზეუმის შენობის რამდენიმე კარგი საესკიზო პროექ-

ტი, რაც შეძენილია მუზეუმის მიერ; ზოგი შეძენილია გათვალისწინებულია მუზეუმთან ახლო მდებარე ქალაქის ნაკვეთის რეორგანიზაციის გეგმის მოხაზულობაც.

ამრიგად, გრანდიოზული სამუშაო, რომელიც ამხანგ ლ. პ. ბერიას ინიციატივით გაიშალა, სულ უფრო ფართოდება და ძლიერდება. ძირითადი, წმყვანი პრობლემების გადაწყვეტა ახალ პრობლემებს ბადებს. წინაშელის მოწევები იწვევება არქიტეტორებში შემდგომი, უფრო მნიშვნელოვანი მიღწევების წყურვილს. საბჭოთა საქართველოში არქიტეტორის მიერ განვლილი 20 წელი წარმოაღენს იმ არნაზული გაფურჩქვნის ნათელ ანარეკლს, რომლითაც ასე მდიდარია საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრება.



თბილისი

ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამის“ სტატიონი

ლ. პირი

## ერთული საგზოთა სახვითი ხელოვნების XX ნედი

20 წლის წინათ საქართველოს შშრომელები მას მას და დიდი რუსი ხალხის დახმარებით, გმირული მუშაურ-გლეხეური წითელი არმიის დახმარებით, სამუდმოდ დასამარტის მეშევეიკურ მძიალდეთა ძალაუფლება და საქართველოში მუშაურ-გლეხეური ხელისუფლება დამყარეს.

20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს მინისტრ-ველებზე პირველად გაისმა განთავისუფლებული, შემოქმედებითი შრომის ყეინია; ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ბელნიერმა ქართველმა ხალხმა, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით იწყო ჩვენი ქვეყნის დაგრძელული სახალხო მეურნეობის აღდგენა და მისი სოციალისტურ ხელსებზე დაყენება. და ამ ოცი წლის მანძილზე, სტრიქინისათვის რიცხვებით ამ უმნიშვნელო და ხანმოკლე დროის მანძილზე, საქართველომ არაახლ წარმატებებს მიაღწია.

საქართველო მსხვილი მურველობისა და მსხვილი სოფლის მეურნეობის ქვეყნად იქცა. ახალი საწარმოო ძალების გამოვლინებისა და განვითარების საფუძველზე საქართველო ეკონომიკურად აღირდინდა, — და ამ მტკიცე ეკონომიკურ ბაზიზზე აყვავდა და განვითარდა იდეოლოგიური ზეგნაშენი, მეცნიერება და ხელოვნება. ქართული საბჭოთა ხელოვნება, თეატრი და კინო, მუსიკა, მხატვრობა, ლიტერატურა, ხალხური შემოქმედება — ეს ძეირდათი განჩია საბჭოთაში დიდი ოჯახის კულტურის საუნდეზი. აღორძინებული ქართული საბჭოთა ხელოვნების ცალკეული დარგები თავიათი სპეციალისტებით აცნობდნენ მთელ კაცობრიობას ჩვენი ქვეყნის წარმატებებს, სოციალისტური შრომის ჰეროიკას, ჩვენი ქვეყნის ახალ ადამიანებს, რომელთათვის შრომა გმირობისა და თავდადების საქმედ იქცა, —

ადამიანებს, რომელთა შემოქმედებითი შრომაშ სასწაულები მოახდინა მეცნიერებასა, ტექნიკასა და ხელოვნებაში. და ასეთმ, შემოქმედებითია შრომაშ, გმირობაშ, თავდადების ჩვენი ქვეყნა საბჭოთის თვალმარგალიტად გადააქცია.

ქართული საბჭოთა სახეობითი ხელოვნება, ისე, როგორც ხელოვნების სხვა დარგები, ხალი ადამიანის ფსიქიის რეგულატორიად იქცა. თუ მენტევიკურ საქართველოს დროინდელი სახეობითი ხელოვნება სინამდვილეს მოწყვეტილი ქმნიდა ყოველგარ პროგრესულ იდეაბს მოიღებულ ნაწარმოებთ, თუ იმდროინდელ სახეობითი ხელოვნებისათვის უცხო იყო მშრომელი მასების მღელებრება და სულისკვეთება, დღეს საქართველოს საბჭოთა სახეობითი ხელოვნება სოციალისტური ყოფის აქტიურ მონაწილედ და ორგანიზატორიად იქცა. ქართულ საბჭოთა მხატვრობაში, სანამ ის განვითარების დღვევანდელ დონეს მიაღწევდა, მრავალი იდეური და მეოთოდოლოგიური სახეცვლილებანი განიცადა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში ათიოდე მხატვარი მოიპოვებოდა, რომელთა შემოქმედებითი პრატიკა ძირითადად ქალაქური წერილ-ბურუუზიული ყოფის ასახვას არ შორდებოდა. ბოგემა მთავარი შემოქმედებითი ობიექტი იყო ქართული მხატვრობისა. ქართველ მხატვართა საზოგადოება, რომელიც ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ 1914 წელს, აერთინებდა მხატვართა მცირერიცხვან შემოქმედებით ძალებს, გასაქნოს ამლევდა როგორც დასავლეთ ევროპიდან „იმპორტირებულ“. ისე ძეველი რუსეთის გზით საქართველოში დანერგილ მაცნე მიმღინარებებს მხატვრობაში: ექსპორტისონიზმის, იმპრესიონიზმის, ნატურალიზმისა და ფორმალიზმის შემოქმედებითი პრატიკას. ყველა ეს მიმღინარეობა

ბანი (გარდა ნატურალიზმისა), დასავლეთის ახალი მხატვრობის სახელწოდებით, მოდათ იყო გადაქცეული, რომლის კულისებს იქით ზოგი მხატვარი ფარავდა თავის უძლურებას მხატვრული ისტორიების დარგში, ზოგი კი „ახალი მხატვრობის“ მეთოდოლოგიურ ძიებათა ვარაციებში ხარჯვდა უსარგებლოდ თავის შემოქმედებითი შესაძლებლობას.

ფორმალსტური მიმღინარეობანი მხატვრობაში თავს იჩენდნენ, როგორც გაბატონებული იდეოლოგია იქ, სადაც საზოგადოებას გამოფიტული იქვს პროგრესიული განვითარების ყოველივე გრძნობება და მისწრაფებანი, იმ საზოგადოებაში, სადაც ხელოვნება გონიერადუნგ უკლასიურობის სამოსელში გახვეულა, ასრულებს საზოგადოების გაბატონებული კლასების მძაფრი იდეოლოგიური იარაღის ჩოლს, გაბატონებული კლასები კი ცდილობენ განაირალონ. ხელოვნება, როგორც მასების ფსიქიაზე მძლავრი ემოციური შემოქმედების საშუა-

ლება, და სამაგიეროდ მიაწოდონ მასტენი სურვიგატები, ცალკეულ ფორმალურ ძიებათა ექსპერიმენტები, ინდივიდუალურ მხატვართა სუბიექტიურ-ემოციონალურ განცდათა ვარიაციები.

ხელოვნების როლის ასეთი გაგება ეკუთვნის ბურუუაზიული საზოგადოების იმ პერიოდებს, როდესაც ამ საზოგადოებამ შეასრულა განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდში პროგრესიული როლი მის წინამავალ საზოგადოებრივ ფორმაციათა და ტრადიციების მსხვერევის საქმეში, მიერა თვითკმაყოფილებას და ხელოვნებას მხოლოდ ესთეტიური დატყობის მოთხოვნები წაუყენა.

ხელოვნების როლის ამგვარი გაგება თავს იჩენდა ხოლმე ქართველ მხატვართა შემოქმედებითი პრაქტიკაშიც. განსაკუთრებით ამას ადგილი ჰქონდა საქართველოში მენშევეების ბატონობის პერიოდში. ჩვენ ამით სრულებით აჩ გვინდა ვსთვეათ, თითქოს



„ბედნიერი ოჯახი“

მხატვარი ს. ნადარევიშვილი

ქართულ მხატვრობაში საერთოდ არ ყოფილი იყოს და დემოკრატიული იდეები; ეს იდეები საქმაო ცხოველმყოფებს ასახდას პოლიტიკურ მხატვრების ა. გოგიაშვილის, ა. მრევლიშვილისა და ნაწილობრივ ფიროსმანიშვილის შემოქმედებაში. მათი მოღვაწეობას პერიოდები, განსაკუთრებით ა. გოგიაშვილისა, დაშორებული იყვნენ ქართველ მხატვართა საზოგადოების დარღვევების პერიოდს.

ქართული მხატვრობის ნამდვილი შემოქმედებითი აღმავლობა დაწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან. 1922 წელს არსდება სამხატვრო აკადემია, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართული მხატვრობისათვის ნიჭიერი კადრების მომზღდების საქმეში. პარალელურად სამხატვრო აკადემიისა ნაყოფიერ მუშაობის აწარმოებობის სახალხო სამხატვრო სტუდია პროფ. მოსე თომიძის ხელმძღვანელობით. სამხატვრო აკადემიისა და სახალხო სამხატვრო სტუდიაში სწავლას დაწყისა შემომელთა ფეხბილინ გამოსული ნიშიერი ახალგაზრდობა, რომელთა უმრავლესობა დღეს ქართული საბჭოთა მხატვრობის და ქანდაკების წამყან ძალებს წარმოადგენს. საქართველოს სამხატვრო აკადემიამ გაართიანა ინდივიდუალურად მომზადე მოწინავე ქართველი მხატვრები და ჩააბინისი ახალგაზრდა კადრების მომზადების სამატო საქმეში. სახალხო მოქანდაკე ი. ნიკოლაძის, პროფ. მ. თომიძის, ლ. გუდიაშვილის, დ. კუპაძის, ვ. სიღამონ-ერისთავის, გ. გაბაშვილის, ი. შარლემანის და აკადემიკოს ე. ე. ლანჩერეს დაუღალება მუშაობის სამხატვრო პედაგოგიურ ასპარეზზე თანაათანობით გამდიდრა და გაზარდა ქართული მხატვრობის შემღომი პერიოდების შემოქმედებითი ძალები.

1925 წლიდან დაწყებული ქართული მხატვრობის პერიოდულ გამოფენებზე უკვე გეხდება მხატვართა ახალი სახელები; ასეთებს უკუთხინან კ. სანაძე, თ. აბაკელია, კ. გრძელიშვილი, ს. ნადარეიშვილი, ლ. ლემანეგავა, შ. მაყაშვილი, შ. მამალაძე, ნ. კანდელაკი, ს. კუპაძე, რ. თავაძე, კ. მერაბიშვილი, ვ. თოფურიძე, შ. ძელაძე, ი. ვეფხვაძე და სხვ.

მხატვართა და მოქანდაკეთა შემღომი თა-

ობას წარმოადგენენ — უჩა ჯაფარაშვილი, ი. გაბაშვილი, კ. ხუციშვილი, კ. კიკანაძე, დ. ძელაძე, მ. თალაქვაძე, პ. ბლიორქინი, ი. მამალაძე, მ. თარიშვილი და სხვა.

დასახელებულ თაობებს თავიანთი შემოქმედებითი მუშაობის და ზრდის პროცესებში ეკლანი გზის გავლა მოუხდათ ქართული მხატვრობის განვლილი გზების კრიტიკულად ათვისების საქმეში. ეს თაობათა ზოგიერთ მხატვრის შემოქმედებაზე განსაზღვრულ პერიოდში საქმაოდ ძლიერი გავლენა იქნია ფორმალისტურმა რეცილივებში.

ასეთ მხატვრებს რიცხვს ეკუთხონდნენ

ლ. ლემანეგავა, კ. სანაძე, კ. კანკვეტაძე, მოქანდაკე გ. სესიაშვილი და ნაწილობრივად უჩა ჯაფარიძე.

სოციალისტური შენებლობის წარმატებებმა, ადგიანისადმი, შრომისადგინი ახალმა დამყოფებულებამ მხატვართა კადრებს ახალი თემატიკა მოუტანა, ჩვენი რეალური ცხოვრებითი კამომილიარე თემატიკა, აღგზნებული და ამერცყველებული სოციალისტური შენებლობის პერიოდი. 1928—35 წლებში გამართულ გამოფენებზე უკვე აღარ იყო „კანტოვების ქვითი“, „ორთავალის ტურქა“, „ქალაქ გარეთ გასეირნება“ ან „სამოვრის მელოდია“, რომლებიც ისეთმა თემებმა შესცვალეს, როგორიცაა „ორთქლმავლის შეკეთება“ (მ. თომიძე), „კიათურის მემალაროები“ (სანაძე), „ჩაის კრეფა“, „მანდარინის კრეფა“ (აბაკელია), „ძველი და ახალი“, „ანდეზიტის დამუშავება“ (გულიშვილი), „წითელარმიელები კომეურნებაში“ (სიღმონ - ერისთავი), „ახალი კოლხიდა“ (გრძელიშვილი), „ზაქერის ლამპა“ (ირ. თომიძე), „არსენ გორგიშვილი“ (ლემანეგავა).

ქართველ მხატვართა საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ თბილისში ჩამოყალიბდა საქართველოს რევოლუციურ მხატვართა ასოციაცია „საქმის“ სახელწილებით (1928—1931 წ.). თუ ქართველ მხატვართა საზოგადოება გასაქანს აძლევდა როგორც ფორმალისტური მხატვრობის ტენდენციებს, ისე ნატურალიზმს და მხონავ რეალიზმსაც, „სარმა“ სასტიკად იღაშერებდა რა ნატურალიზმისა და პასიურ-მცვრეტელობითი რე-

ალიშმის წინაღმდეგ, აყენებდა საკითხს ასალი თემატიკის „ახალ“ მხატვრულ ხერხებში ასახების შესახებ, — ხოლო ეს „სიახლე“ ზოგიერთ მხატვართა შემოქმედებითი პრაქტიკში ფორმალიზმის სხვადასხვა ვარიაციებშე ვაჭიშობაში გამოიხატა. „სარმაშ“ ვერ უზრუნველყო ქართული მხატვრული კულტურის ისეთ კალაპოტში ჩაყენება, რაც შესაფერისი იქნებოდა იმ მოთხოვნებთან, რასაც ჩვენი რეალური სინამდვილე აყენებდა. „სარმა“ ნატურალიზმისა და პასიურ-მჭვრეტელობითი რეალიზმის წინაღმდეგ ბრძოლას აწარმოებდა „მემარჯვენე“ მხატვრობის პოზიციებიდან: ასეთმა პრაქტიკმ ზოგი ახალგაზრდა, ნიჭიერი მხატვარი შემოქმედებითი ჩიხში მოამჟყვდა. მა გარემოებას ხელს უშენდა ქართულ მხატვრობაში მაშინ არსებული ფორმალისტური კრიტიკა, რომელსაც ცამდე აჰვავდა ფორმალიზმის ყოველი სახის გამოვლინება მხატვრობასა და ქანდაკაში.

„სარმას“ ბარალულურად ამ პერიოდში თბილისში არსებობდა „ჩევოლუციის მცხოვრებლების გართა ასოციაციის ფილიალი“, „ახრ“-ის სახელწოდებით, რომელიც ებრძოდა რა „მემარჯვენე“ მხატვრობის ყოველგვარ გამოვლინებებს, უარტიკოდ ანვითარებდა ნატურალიზმისა და პასიურ-მჭვრეტელობითი რეალიზმის შემოქმედებითი პრაქტიკას. „ახრ“-ის ბრძოლა „სარმას“ წინაღმდეგ — ეს იყო ბრძოლა „მემარჯვენე“ მხატვრობის პოზიციებიდან.

სა. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიულმა და გენილებამ „სალიტერატურო - სამხატვრო ორგანიზაციების მეშაობის გარდაქმნის შესახებ“ ბოლო მოუღო ხელოვნების ფრონტზე არსებულ შემოქმედებითი ჯგუფობრივებს. და დასახა ამოცანები საბჭოთა ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის. მა ისტორიულ დადგენილების საფუძველზე ჩამოყალიბებულ იქნენ შემოქმედებითი ორ-



საქართველოს სსრ პავილიონი საკავშირო სასოფლო, სამეურნეო გამოფენაზე, ესკიზი შავტვარ შ. მაჭაშვილისა



განიზაციები — საბჭოთა მწერლების, მხატვრების, არქიტექტორთა და კომპოზიტორთა კაშშიჩები. ამ დადგნილებამ ალვეთა მხატვრული იღოლვითი ფრონტზე არსებული არანორმალობა, ალვეთა მავნე შემოქმედებითი დაჯგუფების და აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელოვნების შემდგომი განვითარების ერთადერთი გზა — ესაა სოციალისტური რეალიზმის მეთოდის გამოყენების გზა.

სოციალისტური რეალიზმის მეთოდი არ არის დოგმა, არ არის ისეთი დოქტრინა, რომელიც „რეცეპტის“ სახით შეიძლება მიეცეს თვითურლ შემოქმედ მუშაკს. ჩვენი მრავალფეროვანობის სინამდვილე, გუშინდელი ღლის განვითარების ლოლიკური შედეგი ახალ ფორმაციებში, ახალი ადამიანის ფისკია, შერმისადმი ახალ დამოკიდებულება, ადამიანებზე ზრუნვა, ჰუმანიზმი, ხვალინდელი ღლის განსპეციერება დღევანდლე სინამდვილეში და ამ სინამდვილის ტიპის მოვლენითა ტიპის ფორმებში განსახიერება,—აი ის, ჩაც უნდა იყოს მთავარი ობიექტი სოციალისტური რეალიზმის მეთოდოლოგიისათვის.

სოციალისტური რეალიზმის შემცველი ნაწარმოების შექმნა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მიუღება ხელვანი ჩვენს სინამდვილეს, როგორ აითვისებს, როგორ შეიგნებს და იგრძნობს ამ სინამდვილის ტიპის მოვლენებს და როგორ განაზოგადებს მათ. ქართული მხატვრების შემოქმედებითი პრატეკა საქამაო მდიდარია ისეთი ნაწარმოებებით, რომლებშიაც გამოსცვის სოციალისტური რეალიზმის მეთოდის გამოყენების ელემენტები.

განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას იმ მხატვრულ ტილოებზე, რომელიც წარმოდგენილ იქნება 1936 წელში გამართულ დიდ სამხატვრო გამოფენაზე; ეს გამოფენა მიერღვნა დიდი სტალინის რევოლუციურ მუშაობის პერიოდებს ამიერ-კავკასიასა და საქართველოში, ამხანაგ ლ. პ. ბერიას შესანიშნავი წიგნის „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური მუშაობის პერიოდის ტემპები“ — მიხედვით.

ასევე შეიძლება ითქვას სურათებზე, რომლებიც წარმოდგენილი იყვნენ გამოფენაზე

„ორდენისანი საქართველო პეიზაჟურ მინიატურაში“ (1937 წელი).

ამხანაგ ლ. პ. ბერიას ზემოთ დასახლებულმა წიგნმა, წაკითხულმა მოსხენების სანთ თბილისის პარტაქტივზე 1935 წ., უღილესი შემოქმედებითი ენტუზიაზმი შექმნა ქართველი მხატვრებსა და მოქანდაკებში. ლ. პ. ბერიას ინიციატივით და ხელმძღვანელობით ქართველი მხატვრებისა და მოქნდაკების კოლეგიტივა პრეველად მოაწყო 1936 წელში დიდი გამოფენა ისტორიულ-რევოლუციურ თემატიკაზე. აღნიშნული გამოფენა თავისი მრავალრიცხვოვანი ექსპონატებით ნათლად სურათებდა ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების გმირული არალეალური ბრძოლების ცალკეულ პერიოდებს,—ბრძოლების, რომელიც ტარდებოდა დიდი სტალინის ხელმძღვანელობით. აღნიშნული გამოფენით საქართველოს მხატვრებმა და მოქნდაკეებმა ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერეს ქართული საბჭოთა სახეობი ხელოვნების ისტორიაში.

განსაკუთრებით გამოიჩინა ამ გამოფენაზე თავისი ისტარობით მხატვრები ა. ქუთათელაძე („ბათუმის მუშათა დემონსტრაცია ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით 1902 წელს“), უნი ჭაფარიძე (სტალინის პორტრეტი), ი. თოიძე („ამხანაგი სტალინი რიონქეშში“), ი. ვეფუხვაძე („ამხანაგი სტალინი თანამებრძოლებით“), დ. კოლგინი („ამხანაგი სტალინი ახალგაზრდობის წლებში“), ქ. მალალშვილი (სტალინის პორტრეტი 1905 წ.), სახალხო მოქნდაკე ი. ნიკოლაძე, მოქანდაკე ს. კაკაბაძე, რ. თავაძე და სხვა.

შემდგომი პერიოდის გამოფენამ — „ორდენისანი საქართველო პეიზაჟურ მხატვრობაში“, რომელიც 1937 წელს მოეწყო, გვიჩვენა ქართული მხატვრების შემოქმედებითი აღმავლობის ტემპები.

ამ გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატები ასახავდნენ საბჭოთა საქართველოს მიღწევებს სოციალისტური შენებლობის დარღვეში. აქ ნაჩვენები იყო საკომისარებო სოფლის ბრწყინვალე გამარჯვებები, ჩვენი ქვეყნის აღმანები, ახალი შეძლებული და სამური ცხოვრება, საკომისარებო უხვი



“ମାନୁଷରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା”

ଶେଖରାଜନ ଓ ସିଦ୍ଧାମିନ୍-ଫର୍ଦିଲାଲ୍

მოსავალი, ჩაითა და ციტრუსოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობანი და სხვა.

ორგანოსან საქართველოს წარმატებებზე დაღლებული მხატვრების მ. თოიძის ("შეძლებული და სამური ცხოვრება"), ქ. გძელიშვილის ("ციტრუსების ქვეყანა"), ს. მაისაშვილის ("ბეღვირი დედა"), ა. გიგოლაშვილის ("შეძლებული ცხოვრება"), შ. მაყაშვილის ("შემოდგომა კინეზში"), ი. ვეფხვაძის ("მანდარინის კრეფა"), თ. აბაკელის ("შემოდგომა იმერეთში"), ე. ახვლედანის ("ახალი თბილისი"), ვ. ჯაფარიძის ("ახალი თბილისი") სურათები. ზემოთ დასხელებულ და სხვა მრავალ სურათებში აღარ მოსიჩნდნენ ცარიელი გამოფიტული პეიზაჟები, არამედ მოცემული იყვნენ პეიზაჟები აღმანებთან უშუალო, ორგანიულ კავშირი აღმანებთან უშუალო, ორგანიულ კავშირი. ში, მოსიჩნდა ის, რომ ადგინის განთვავისუფლებულმა შეკრძებებითმა შერმაზა შესცვალა, მოსტრესა ბუნების სტრუქტურა და ხალხის ნებასურველზე აამუტველა. ქართულ საპორა მხატვრობში შესანიშავ კვალს სტრენგენ ალ. ციმაკურიძის, ი. მამალაძის, შ. მამალაძის, ვ. ჯაფარიძის პეიზაჟები, განსაკუთრებით ა. ციმაკურიძის და ი. მამალაძის დადით გემოვნებით დაწერილი სურათები: "ბორგომის პეიზაჟი", "ქვიშხეთი" და "იმერეთის პეიზაჟი".

ქართულ საბჭოთა მხატვრობაში მოიპოვებია საქმოდ გამოყოლილი პორტრეტისტი მხატვრები: ქ. მალაშვილი, უნი ჯაფარიძე, დ. გველესიანი, ვ. ბლიონტიანი.

ჩვენ მოგვეპოვება გამოჩენილ მხატვარების კონკრეტული მოტივისათვის მოტელი პლატფორმაზე, რომლებიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევან წიგნების ილუსტრაციისა და დაზიგური გრაფიკის დარგში. ესნია ს. ქობულაძე, თ. აბაკელია, ელ. ახვლედანი, ირ. თოიძე, ლ. გრიგოლია, ლ. ქუთათელაძე, ა. კოჭიონანი.

ჩვენი მხატვრები მჭიდროდ დაკავშირებული არიან თეატრალურ და კინ-ხელოვნებასთან და იძლევიან დეკორატიული მხატვრობის მაღალ ნიმუშებს — ასეთებს ეკუთვნიან მხატვრების ვ. სიღამონ-ერისთავი, ელ. ახვლედანი, ირ. გამრეკელი, თ. აბაკელია, ქ. სანაძე, ი. შარლემანი, ლ. კაკაბაძე, დ. ძელაძე, ი. შტენბერგი.

ას არის ხელოვნების არც ერთი დარგი,

რომელთანაც ქართველი მსატვებელი მომართებული იყონ დაკავშირებული ორგანიულად. ამ მოლონ სანებში არექიტექტურა მჭიდროდ დაუკავშირდა მხატვრობასა და ქანდაკებას; ამის ნიმუშს წარმოადგენს მარქს - ენგლელინის ინსტრუმენტის თბილისის ფილიალის შესანიშავი შენობა. ამ შენობის ფასადს ამშენებდნ სახალხო მოქანდაკის ი. ნიკოლაძის ისტატურად შესრულებული ბარელიეფები და თ. აბაკელის ურიში. მაგავ შენობის სალექციო დარბაზს ამშენებს მხატვარ უნი ჯაფარიძის მიერ ფრესკის სახით შესრულებული მონუმენტური სურათი თემაზე — „საპირველმასო დემონსტრაცია სალდათის ბაზარზე თბილისში 1901 წელს მხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით“.

სახალხო მოქანდაკე ი. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით წამოზარდნენ და გამოიწვერონ მოქანდაკები რ. თავაძე, ქ. მერაბიშვილი, ვ. თოფურიძე, ს. კავაბაძე, შ. მიქატაძე, მ. თალაქვაძე, რომელთაც გვიჩვენს რევალუციის ბელადების ლენინის, სტალინის და მთი თანამებრძოლთა მგზებარე სახეები ქართულ პლასტიკურ ხელოვნებაში.

შესანიშავი სურათები მიუძღვნეს ქართველმა მხატვრებმა ამხანაგ სტალინის დაბადების 60 წლის თავზე გამართულ გამოფენას (1939 წლის დეკემბერი); ამ სურათებითაც განსაკუთრებით ალანიშვანია „ამხანაგი სტალინის გამოსვლა ლიბერალების ბანკეტზე 1905 წელს თბილიში“ (ი. ვეფხვაძე), „საპირველმასო დემონსტრაცია თბილისში 1901 წელს სალდათის ბაზარზე ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით“ (ი. გოგოლაშვილი), „ამხანაგი სტალინი ბათუმის ციხეში 1902 წელს“ (ქ. მალაშვილი), „ამხანაგ სტალინის დაკონხე 1902 წელს“ (ს. ნადარევშვილი).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებილნ დღემდე საქართველოს მხატვრებს გამართული აქვთ 50-მდე გამოფენა (გარდა მ. თოიძის სახალხო სამხატვრო სტულის მიერ გამართულ გამოფენებისა). ამ გამოფენებზე წარმოდგენილი იყო ფერწერის, გრაფიკის და ქანდაკების 10 ათასმდე ნაწარმოები. ამ გამოფენათა შემოქმედებითი პრაქტიკაზე აღიარდა და გამოიწვრია ქართული

ლი მხატვრობის ახალგაზრდა თაობა. მათ შორის თავიანთი შეკოქმედებითი მუშაობით ვანირჩევიან კ. ხუციშვილი, კ. კინაძე, ა. გიგოლაშვილი, გ. ჯაში, ნ. რიონაშვილი, ქ. ქინელაძე, გ. ჭორჯაძე, ი. მიქელაძე, ვ. შერპლოვი, ი. გენერი, პ. ალვაროვი, ლ. ბურდული, კ. თენერიშვილი, მოქანდაკები სოფრია, სიხარულიძე, ე. მაჩაბელი.

შშრომელთა ფენებიდან გამოვიდნენ და შემოქმედებითი მუშაობას წარმოებენ ხალხური მხატვრები ვ. მახარობლიაძე, შ. მარადაშვილი, ხეხე ჭრის ისტატი ბოტკოველი, ჭედვითი ხელოვნების ისტატი გ. ხანდამაშვილი, ხალხური სახვითი ხელოვნების ისტატის შემოქმედებითი ობიექტად ალებული აქვთ როგორც ჩეენი თანამედროვე სინამდვილე, ისე ფოლკლორული მასალები.

გაღრმავდა სახვითი ხელოვნების დაზგში

სამეცნიერო კვლევითი მუშაობაც, რომელიც საც ხელმძღვანელობს ხელოვნების მუშეული "მეტეხი". ხელოვნებათმულნების დარგში ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან პროფესორები გ. ჩუბანაშვილი (არქიტექტურის დარგში) და შ. მირანაშვილი (მხატვრობისა, ქანდაკებისა და ჭედვითი ხელოვნების დარგში). ახალგაზრდა მეცნიერ ძალგიდან სახვითი ხელოვნების დარგში მუშაობენ მ. დუდუჩავა, ი. ურუშაძე; სახვითი ხელოვნების კრიტიკის დარგში ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან შ. ალხაჩიშვილი, დ. ჯანელიძე, შ. კვასხვაძე, მხატვარი შ. მამალაძე.

მ ბოლო ხანებში წარმოებული გათხრების წყალბით წალკაში, მცხეთის სამთავროსა და არმაზში აღმოჩენილია ძვირფასი ნივთები, რომელთა შორის მოიპოვება შორეული წარსულის ქართული სახვითი ხე-



„ახალგაზრდა სტულინი უკითხავს „არსენას ლექსს“ გორგლ გლეხებს“  
მხატვარი რ. ჯაფრიშვილი (სადიპლომო ნამუშევარი)



ლოვნების ... ნიმუშებიც; ამ გათხრებით  
ბრტყინვალე ფურცლები იწერება ქართული  
კულტურის ისტორიაში:

ნაყოფიერ და სასარგებლო მუშაობას  
ატარებს ხელოვნების სამართლელის კულ-  
ტურის ძეგლთა დაცვის განყოფილება ქარ-  
თული ისტორიული არქიტექტურის ღირს-  
შესანიშნავ ძეგლთა შესწავლის, რესტავრა-  
ციისა და შემდგომი თაობებისათვის შენახ-  
ვის საქმეში.

ქართული საბჭოთა სახეობით ხელოვნება  
დიდი გამარჯვებებით ხედება საქართველო-  
ში საბჭოთ ხელისუფლების ღმისარების 20  
წლისთვას.

ეს გამარჯვებები შესაძლებელი გახდა იმ  
ყურადღებისა და მზრუნველობის შედეგად,  
რომელსაც იჩენენ პატირია და ხელისუფ-  
ლება ხელოვნების განვითარებისადმი.

ქართული საბჭოთა სახეობით ხელოვნების  
ეს წარმატებანი უშეალოდ დაკავშირებულია  
ჩენი ქვეყნის სამაყო შვილის, ამხანაგ  
ლ. პ. ბერიას სახელთან, რომელმაც თავისი  
უმაგალითო მზრუნველობით ალფროვანა  
მხატვრები და მოქანდაკები, მისცა მათ  
ძეირფასი თემები ხალხთა დიდი ბელადის  
ამხანაგი სტალინის ჩელოლუციური წარსუ-  
ლიდან.

20 წლის მანძილზე შეძენილი გამოცდი-  
ლება, შემოქმედებითი პრაქტიკული მუშა-

ობა: საქართველოს მხატვრებიმა და უცხოვნებენ  
დაკედმა ტააგვირგვინეს შესანიშნავი გამო-  
ფენით, რომელიც მიეძღვნა საქართველოში  
საბჭოთა ხელისუფლების ღმისარების 20  
წლისთვაის იუბილეს.

აღნიშნული გამოფენა ქართული მხატ-  
ვრობის მოწინავე ძალების შემოქმედებითი  
ზრდის უდავი მაჩვენებელა.

ამ გამოფენამ ერთხელ კიდევ დაადასტუ-  
რა ის მაღალი შესაძლებლობანი და ოსტა-  
ტობა, რომლითაც ასე მდიდარია სახალხო  
მოქანდაკის ირდენისან ი. ნიკოლაძის, რო-  
დენისან მხატვარ პ. თონიძის, მხატვრების ი.  
ვეფხაძის, უზა ჯაფარიძის, ს. მასაშვილის,  
ს. ნადარიევიშვილის, ორდენისან ელ. ახვლე-  
იანის, ორდენისან ლ. გულაშვილის და  
მოქანდაკების რ. თავაძის, ს. კაკაბაძის, კ.  
შერაპაშვილის, ვ. თოფურიძის, შ. მიქატა-  
ძის შემოქმედება.

დღეს ორდენისან საქართველოს ასორ-  
მოცდაათმდე მხატვარი, გრაფიკის და  
მოქანდაკე მოებოვება, რომელთაც მისაცავ  
ქართული მხატვრობა აღორძინების ულე-  
ველ გზაზე. მათი ამოცანა შექმნან მხატ-  
ვრობის და ქანდაკების ისეთი ნაწარმოებე-  
ბი, რომელიც ღირსნი იქნებიან ატარონ  
დიალი სტალინური ეპოქის ხელოვნების ნა-  
წარმოებთა სახელი.

ქ. გივრევილი

საქ. კინო-სტუდიის დირექტორი

## საქართველოს პინო-ხელოვნება

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე კინო-წარმოება, როგორც ასეთი, არ აჩინებობდა, თუ მხედვებლობაში არ მივიღებთ ორ-სამ უნიშვნელა ფლობს, რომელიც გამოშვებული იყო კერძო მეწარმის მიერ ფულის მოგების მიზნით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე კინო, გადავიდა რა უშეუალოდ საბჭოთა სახელმწიფოს ხელში, იყავებს სათანადო ადგალს და მას ეძლევა სტიმული შემოქმედებითი შესაძლებლობათა ფართო გაშლისათვის: აჩინდება საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობა თავისი საკუთარი მძლავრი საწარმოო ბაზით.

20 წლის განმავლობაში საქართველოს კინემატოგრაფიამ ჩვენს ქვეყანას მისცა ათობით ფილმები, რომელთაც ფართო პოპულა-

რობა მოიპოვეს მოელი საბჭოთა კავშირის მაყურებელთა შორის.

კირ კილევ საბჭოთა კინემატოგრაფიის გამოიჩინა გამოშვებული ფილმი „წითელი ეშმაკუნები“ (რეჟისორი ი. ნ. პერესტიანი) აქამდე არ მოხსნილა ექრანზეან და სარგებლობს საბჭოთა მაყურებლის მრავალ თაობათა უცდლელი სიყვარულით.

უკვე პირველი თავისი ფილმებით — „ქრისტინე“ ე. ნინოშვილის მოხატვის მიხედვით (რეჟისორი ა. წუწუნავა), „აჩსენ ჭორჭიაშვილი“, „სურამის ციხე“, „სამი სიცოცხლე“ (რეჟისორი ი. პ. პერესტიანი) საქართველოს კინომრეწველობამ წამყანი ადგილი დაიკავა საბჭოთა კინემატოგრაფიაში.

კინოს დაზუში სამუშაოდ მოწევულ იქნა თეატრის ისეთი ოქტატი, როგორც იყო კ.



კადრი ფილმიდან — „დაინადი განთიადი“, დაფგმა რუ. მიჩ. ჭიათურელისა, მ. გელოვანი ი. ბ. სტალინის როლში



კინო-რეჟისორი მიხეილ ჭავჭავაძე

მარჯანიშვილი, რომელმაც, მსახიობებთან მუშაობის დიდი გამოცდილების მქონებ, მნიშვნელოვნად გააფიქტოთ საქართველოს კინემატოგრაფიის შემოქმედებით შესაძლებანი და გამომუშავ ფილმები „სამანიშვილის დედინცალი“, „მიკი“, „კაზანა“, „კომუნარის ჩიბუზი“ და სხვ.

კინემატოგრაფიის ამ პირველი ოსტატების გვერდით საქართველოში აღისარდნენ ახალგაზრდა კადრება, რომელთან შესდგა სტუდიის შემოქმედებით მუშაკების ძირითადი ბირთვი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის შეუსუსტებელი ყურადღებისა და დახმარების მეოხებით, საქართველოს კინემატოგრაფია დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ვითარდებოდა და მალე დაიბყრო მტკიცე ადგილი მოწინავეთა რაგში. განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწია მანან. პ. ბერიას ყოველდღიურობაში უფრო და უფრო ვითარდებოდა და ნამდვილი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის შედეგად, როდესაც საქართველოს კინემატოგრაფია გმოვდა ფორმით ნაციონალური და შინაარსით

სოციალისტური ხელოვნების შექმნის კუთხით გამოიყენება სისხლის გადასახლება

მცირე ვადაში დამოუკიდებელ შექმნების დამატებითი სამუშაოზე დაწინაურდნენ მ. ჭიათურელი, ნ. შენგელაია, ს. ლოლიძე, დ. რონდელი, ლ. ესაკია და სხვ.

ჭირედ ამ პერიოდში იყო გამოშვებული სერი ფილმები, როგორც „საბა“ მ. ჭიათურელისა და „ელისო“ ნ. შენგელაიასი, რომლთაც აღნიშნა საქართველოს კინემატოგრაფიის ახალი შემდგომი ზრდა. მ. ჭიათურელმა ნამდვილი მხატვრის მკვეთრი თვალით შეამჩნა ის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც იძლილისათვის მოხდა საქართველოს ყოფა-ცხოვრებში და შექმნა ამაღლებელი ფილმი „საბა“, სადაც გამომტებანი მკვეთრი სატირული ნიჭი და შესანიშნავი ოსტატობა. ნ. შენგელაიას ფილმში „ელისომ“ აღმოჩინა კინო-ხელოვნებაში მოხლი რიგი ახალი ხერხები და შესაძლებლობანი, იგი საბჭოთა კინემატოგრაფიის ძირითა განძს წარმოადგენს.

ამ პერიოდში ხმოვან კინოს გამოჩენამდე, საქართველოს კინემატოგრაფიაშ შექმნა მოხლი რიგი შესანიშნავი ნაწარმოებები: „ჯავაია“—ა. წუწუნავანი, „ხაბარდა“ მ. ჭიათურელისა, „ჩერაი №2“ და „ნახველის“—გ. მაკაროვისა, „ამერიკანა“—ლ. ესაკიასი, „საკანი № 79“—შ. ბერიშვილისა, „გუგუშიძარა“—დ. რონდელისა, „ახლგაზრდობა იმარვებას“—მ. გელოვანისა, „უკანასკნელი ჯვარისნები“—ს. ლოლიძისა, „უერუნას მზიოევა“—ს. ფალავანდიშვილისა და სხვ.

ხმოვანი კინოს გამოჩენამ მოხლი რიგი როთლუ ამოცაცები დასხა შემოქმედებითი კადრების წინაშე. ხმოვანი კინოს ტექნიკური ათვისების გვერდით დასხა შემოქმედებით ხსნითის საკითხები. სიტყვის კინოში დიდ მნიშვნელობა მიეკა, ამან კი გამოიწვია საჭიროება ფილმების შექმნისა რა ვარიანტად—ქართულ, საქართველოს ფარგლებში, და რუსულ ენაზე საბჭოთა კავშირის ფართო ეკრანისათვის. ფილმის არი ვარიანტის შექმნაშ გამოიწვია რეჟისორის და მეტადრე, მსახიობის მუშაობის მნიშვნელოვანი გარდავმნა.

მასთან ერთად, ხმოვანა კინო მოითხოვა სტუდიის მოწყვეტა ხმისჩამწერი სა-

თანადონ აპარატებით და ხელსაწყოებით. ხდება სტუდიის შეიარაღება უახლესი გადამზები აპარატერით, მძლავრი გამნათებელი ხელსაწყოებით და სპეციალურად აგებული პაკილონით, რაც საშუალებას იძლევა გადაღებები ვაჭრმოთ დახურულ საღომებში.

ნმოვან კინოზე გადასვლისთანავე სტუდია ლებულობს თავის ნმოვან ბაზას, რომელიც დროთა განმავლობაში იქსება და უმჯობესდება. შენდება ტონ-ატელიე და ასლების გადამზები ფაბრიკა, რომელიც ერთიანებს ფილმების წარმოებისათვის საჭირო, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილ სათანაბაზო კონო-ლაბორატორიას. ხელახლა შენდება ვლექტრო-ჰესადგური და სხვ. მის შედეგად, სტუდიის საჭარმოა ძალავანობა თანადან ფართოვდება და აღწევს 5-6 სრულმატრაკოვან სამხატვრო ფილმის გამოშევებას წელიწადში.

ნაცონალური კადრების ძალებით მთლიანად საკუთარ ტექნიკურ ბაზაზე შექმნილ პირველ ხმოვან ფილმს წარმოადგენს მ. ჭიათურელის „უკანასკნელი მასკარადი“.



ნატო ვაჩინაძე ესმას როლში. კინო-სურათი „სამი სიცოცხლე“, დადგმა რეժ. ი. პერესტიანისა



კადრი ფილმისან - „წითელი ეშვაუწებია“, დადგმა ი. პერესტიანისა

საიუბილეო 1941 წელი წარმოადგინს სა-  
ქართველოს კინემატოგრაფიისათვის სერიო-  
ზული შემოქმედებითი მოცავანების წელს.

შეადგება სამი მონუმენტური, ისტორი-  
ულ და ისტორიულ-რევოლუციური ფილმის  
დაფენა: „გიორგი საკაძე“ (ანტონოვსკაიას  
და ჩოჩნის სცენარი) XVII საუკუნის ქართ-  
ველ დიდ მხედართმთავრის შესახებ, რო-  
მელმაც სახელი მოიხვევა ქართველ ფეოდა-  
ლებთან და გარეშე მტრებთან ბრძოლით;  
დამდგმელი ორდენისანი რეესორი მ. ჭა-  
ურელი; „ნაპეტრჭლიდან“ (ლ. ჭახელის და  
ნ. შენგელაის სცენარი)—ფილმი ახალგაზრ-  
და სტალინის შესახებ, რომელიც ხელმძღვა-  
ნელობდა ამერიკავასის პირველ ბოლშე-  
ვიკურ ორგანიზაციებს. ფილმს დადგამს  
ორდენისანი რეესორი ნ. შენგელაია;  
„ფიცი“—ფილმი ხალხთა ბელა ი. ბ.  
სტალინის როლის შესახებ საბჭოთა კაშირ-  
ში სოციალიზმის აშენებაში,—ფილმს დაგამს  
ორდენისანი რეესორი მ. ჭაურელი.

ამ ფილმების დადგმა მოითხოვს საქართ-  
ველოს კინემატოგრაფიის ყველა შემოქმე-  
დებითი ძალის დამიმდევრის და მისი ტექნი-  
კურ-საჭარბო ბაზის უნაკლო მუშაობას.

გარდა ამისა, დასახულია გაშვება წარმო-  
ებაში ისეთი სცენარებისა, რომელიც იგებუ-  
ლი არიან თანამედროვე მასალაზე და ისა-  
ხვენ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის  
დიად აღმარცვობას.

1941 საიუბილეო წელში გამოშევებული  
იქნება შემდეგი სამხატვრო ფილმები: „კოლ-  
ხეთის ჩირალდნები“—რეესორ დ. რონდე-  
ლისა, —კოლხეთის დაბლობის აყავებულ  
ბაღად გადატევის თემაზე; „ქაჭანა“—საბაჟ-  
შვილ ანტირელიგიზმი ფილმი მწერალ ნ.  
ლომოვრის იმავე სახელწოდების მოთხრო-  
ბის შიხედვით, და საიუბილეო ფილმი  
„მზიან საქართველო“, რომელიც დოკუმენ-  
ტალურად ასახავს საქართველოს მილშევებს  
საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 20  
წლის განმავლობაში.

განვლილი 20 წლის მანძილზე სა-  
ქართველოს კინემატოგრაფიაშ ძირიფასი  
განძი შეიტანა საბჭოთა კინემატოგრაფიის



ნიმო ჩხეიძე სიმონას დედის როლში. კინო-სურათი  
„დარიკა“, დაგმა რეჟ. ს. დოლიძისა

შემდეგში საქართველოს კინემატოგრა-  
ფია უშევებს ხმელეთ ფილმების მინშენელო-  
ვან რაოდენობას, მათ შორის აღსანიშვილია  
არიან: „არსენ“ მ. ჭაურელისა, „ნარინგის  
ველი“ — ნ. შენგელაისი, „დარიკა“ — ს.  
დოლიძისა, „დაკარგული სამოთხე“ — დ.  
რონდელისა, „ფრთხოესანი მღებავი“ — ლ.  
ესაკარისა, „ქაჭეთი“ — კ. მიქაელიძისა.

და ბოლოს, საქართველოს კინემატოგრა-  
ფიის დიდი შემოქმედებითი ზრდის მაჩვენე-  
ბელი წარმოადგინს 1939 წელს ორდენისან-  
რეესორის მ. ჭაურელის მიერ გამოშვერტ-  
ლი ფილმი „დაადი განთავი“, სადაც წარ-  
მოდგნილია ტეტრომბრის დადი რევოლუცია  
და გენიალური ბელადები ვ. ი. ლენინი  
და ი. ბ. სტალინი.

მნიშვნელოვანი ხელის მიერ შემო-  
დის მუშაობაში ქრონიკალური ფილმების  
პერიოდულ გამოშვებას. ამ ფილმებში გა-  
მოხატულია საქართველოს ცხოვრების აქ-  
ტუალური საკითხები და მნიშვნელოვანი სა-  
მეურნეო-პოლიტიკური მმები. თვალსაჩი-  
ნო აღვილი ეთმობა აგრეთვე სამეცნიერო-

განვითარების საქმეში, გაამდიდრა იგი მთელი რიგი დიდი ნაწარმოებებით, შექმნა თავისი საყუთარი მძლავრი ტექნიკური ბაზა, აღზარდა თავისი საწარმოო და შემოქმედებითი კოლექტივი და მტკიცე ნაბიჯით მიღის წინ ახლ მიღწევების მოსაპოვებლად.

ამ ხნის განვითარებაში აღზარდა კინომუშავების დიდი რიცხვი. მათ შორის გარდა ზემოთდასახელებულ დამდგმელ—რეჟისორებისა, რომელთაც ჩვენს ქვეყანას მისცეს მაღალხარისხსოვანი სურათები, არიან იკერაორები: ა. დილმელი—ორდენსაჩი, უხუცესი ოსტატი, რომელმაც ჯერ კიდევ საბჭოთა კინემატოგრაფიის „გარიერაქშე“ გადაიღო „შიოთელი ეშმაკუნები“ და სხვა მრავალი ფილმი „დიადი განთადის“ ჩათვლით. ა. პოლიკევიჩი—გამოცდილი ოსტატი—ოპერატორი, რომელმაც გადაიღო სურათები „საბა“, „ხაბარდა“, „უკანასკნელი მასკორადი“, „ნარინჯის ველი“ და სხვ. შემდეგ შეაღებაზრდა ოსტატები—შ. ავაქიძე, დ. კანდელავი და სხვ., რომელთაც გადაიღეს მთელი რიგი სურათები.

მთელი საბჭოთა კავშირის ფართო მასები-



კინო მსახიობი ს. ბალაშვილი არსენას როლში



კადრი ფილმიდან „დარიკო“, დადგმა რეჟ. ს. დოლიძისა. თ. ციციშვილი—დარიკო, ს. უორუოლიანი—მოსე ბწერალი



კადრი ფილმიდან „უკანასწორი მასკარადი“  
დალგვა რეժ. მიხ. კიაურელისა

სათვის ცნობილი არიან ჩეგნი კინო-მსახიობები: ორდენისამი ნატო ვაჩინაძე, მ. გილოვანი (სტალინის როლის შემსრულებელი), ქ. ყარალბეგილი, ქ. მატერაძე, ბერეამილი, ახალგაზრდები: ქ. დაუშვილი, ორდენისამი ს. ბაღაშვილი, დ. წეროძე და კინოში სამუშაოდ მოწევული ზეარისა მსახიობები: ორდენისამი ა. უორენლინი, ს. ზავარიაძე, ნ. ჩეგიძე, ვ. ანგაფარიძე, ც. წუწუნავა, ა. კვანტალიანი, კმიტუფე (ლენინის როლის შემსრულებელი) და სხვა.

სტუდიის შტატში არიან მხატვრები: ორდენისამი შ. მამალაძე, მ. გოცირიძე, ს. ვაწაძე და სხვ. მუსიკალურ დარგში მუშაობენ კომპოზიტორები: გ. ჯილაძე, ა. ბალანჩივაძე, ი. გოვილი, შ. მშევლიძე, ი. ტუსურა, ა. მაცავარიანი, რ. გაბიჩვაძე.

სტუდიის შემადგენლობაში შედარი სხვა მრავალნაირი კარგორიისა და კვალიფიკაციის მუშაკებიც, რომელიც საჭირო არიან კინო-ფილმების წარმოების ტექნიკოგიურად რომელი პროცესისათვის, როგორც,

მაგალითად, რეჟისორის და ოპერატორის მიერთები, ლაბორატორის, ქიმიკოსები, ხელის ჩამწერის, გამნათებელის, მონტაჟორები, გრამიორები, კოსტუმიორები, რეკიზიტორები, დეკორატორები, მექანიკოსები, ელექტრიკოსები, აღმინისტრატორები და სხვ.

მათ შორის არიან ნამდვილი დამკვრელები და სტანციონერები, რომელიც ხელს უწყობენ წარმოების დაწესებულებას და გამჭვირვალებას: გრამიორი—მხატვარი ორდენისამი უახტანგოშვილი, გამნათებელი სამჭროს ბრიგადის ფარისადანვე, საბუტაფორი სამჭროს მხატვარი ბერია და მთელი რიგი სხვა მუშაკები, რომელიც სტანციონური მუშაობის მაგალითებს გვიჩვენებენ.

მაგრამ სტუდიის შემოქმედებითი კოლექტივის წინაშე დგას ამოცანა ვადალახოს მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რომელთა გამო სტუდიამ უკანასკნელ პერიოდში სუსტი სურათები გამოიშვა.

ამ ფილმების გამოშვება არ შეიძლება ჩატვალით შემთხვევითი ხასიათის უბრალო ჩავარდნანა. კრიტერიუმი ანალიზი გვიჩვენებს, რომ აქ ჩეგნ საქმე გვაქვს მიზეზეთან, რომელიც თვით შემოქმედებითი პროცესის საწყისებში იმყოფებან.

ამ მიზეზებს რაცხვში პირველ დაგილზე უნდა დავაყენოთ ფილმების სცენარების დაბალი ხარისხი. მათს ასახსნელად შეიძლება შოკიუანობის ის ფაქტი, რომ ეს სცენარები გაშვებულ იქნენ წარმოებაში ხანგრძლივი გაცემის პერიოდში, რომელიც წარმოიშვა კინემატოგრაფიის გრძელებასთან დაკავშირდებით ზოგი სურათების წარმოებიდან მოხსინი შედეგად (გარემოება). რომელსაც არ შეეძლონ გალენა არ მოეხდინა სტუდიის მუშაობაში, რაღაც გაცემამ დიდი დანაკლისი გმოიწვია).

შემდგომ პერიოდში საჭირო იქნება სასცენარი დარგში გაორკეცებული დაკვირვება და სიფრთხილე გამოვიჩინოთ. აქ საჭირო იქნება აგრეთვე მთელი რიგი საორგანიზაციო ხასიათის ღონისძიებების მიღება, როგორც სტუდიის, ისე კინემატოგრაფიის კომიტეტის მხრივ, რათა ერთხელ და საშუალოდ გადაწყდეს მაღალხარისხოვნის სცენარებით სტუდიის უზრუნველყოფის სა-



კადრი ფილმიდან „უკლისო“, დაგამარტექ. ნ. შენგალაიანი  
ქ. ყაჩალა-შეილი-ვაზუა  
კ. ანდრიძინიკა-შეილი-ელისო

კითხი. ამ საქმის მოგვარებაში უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღოს აგრეთვე მწერალთა კავშირში.

ამასთან ახლოს დგას თემატიკის საკითხი, რამდენადაც ომის სწირად არჩევა გადამწყვეტ მომენტს წარმოადგენს ფილმის მნიშვნელობისა და ხასიათისათვის. ჩევნი საპორტა სინაზღვილე, უკლასო საზოგადოების აშენების გრანიდონშული ეპოქა, მრავალ მართალ, დამაჯერებელ და თვალწარმტაც თემებს იძლევიან. საჭიროა მხოლოდ მათი მხატვრის თვალით დანახვა და შემდეგ ნამდვილად მხატვრულ ნაწარმოებად გარდაქმნა.

მესამე მომენტი, რომელმაც განსაზღვრა გამოშევებული სურათების დონე, არის ჩეცისრული მუშაობის სისუსტე. არ შეიძლება უარყოთ ის ფაქტი, რომ ზოგიერთმა რეჟისორმა, რომელსაც აქვს მუშაობის საჭ-

ჭია გამოცდილება უხმო კინოს პერიოდის განვითარების შესახვებისათვის თავის თავშე შეუშაობა, ანგარიში არ გაუწია ყველა იმას, რაც საჭიროა თანამედროვე ხმოვან მხატვრულ სურათისათვის და ამით თვითვაყოფილებას მიეცი, რაც ცვლაზე ნაკლებად დასაშვებია კინემატოგრაფიაში, რომლის წარმატება პირველ ყოვლისა მღვდლმარეობს შეუწყვეტილ წინსვლაში. რეჟისორს სჭირდება სისტემატური, გულმოდგინე მუშაობა თავის თავშე, თავისი მხატვრული და პროფესიული კვალიფიკაციების ამაღლებაში. რომ არ ჩამორჩე, საჭიროა მუდმივი ზრდა:

ეს ეხება აგრეთვე მსახიობებსაც. სტუდიის შტატში მყოფ მსახიობთა ღასი მცირერიცხვანია და ვერ აემაყოფილებს თანამედროვე ხმოვანი ფილმის მიერ მსახიობის წინაშე დაყრდნობულ მოთხოვნილებებს. წელს იწყება მათთან მუშაობა, მაგრამ ეს კიდევ შორს არის იმისაგან, რაც ამ დარგში უნდა გაეთდეს.

ცველა ამ საკითხს განსაზღვრული მნიშვნელობა ეძლევა იმის გამო, რომ სტუდიმ უნდა გამოიუშვას მხატვრული ნაწარმოები რომ ენაზე—ქართულსა და რუსულზე, რაც თავისებულ ხასიათი ბკუთვნიერს ფილმის შექმნის მთელ პროცესს; ამ სიძნელის შეუფასებლობას იჩენს ამ დარგში მომუშავე მრავალი მუშავი.

ამ სიძნელეთა გადალახვისაც უნდა იყოს მიმართული სტუდიის შემოქმედებითი კოლექტივის, ყოველი მნიშვნელოვანი ძალები. საპიროა აგრეთვე ენერგიული დახმარება ს.ს.რ.კ. საქომასაპუსთან ასებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტისა.

ეპეს გარეშე, რომ სტუდიის კოლექტივი შესძლებს უახლოეს დროში უზრუნველყოს კინემატოგრაფიაზე დაკისრებული ცველა ამოცანის შესრულება და მისცემს ჩევნის ქვეყნას ღიადი სტალინური ეპოქისათვის ღირსეულ, მხატვრულად და ტექნიკურად მაღალხარისხოვან ფილმებს. ამის თვედებია მს მუდმივი ყურადღება და მზრუნველობა, რომელსაც იჩენენ კინო-ხელოვნების მიმართ პარტია და საპორტა საქართველოს მთავრობა.

## მუსიკალური კურზების ახალი პერიოდი

საქართველოს თეატრალურ - მუსიკალურ ნაგებობათა კომპლექსი გამდიდრდა ერთი ახალი შენობით. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დღიმარების 20 წლის თავზე გაიმსწერა საქონცერტო დარბაზი, რომელიც ათასს მსმენელს დაიტევს, ხოლო მის სცენაზე თავისუფლად მოთავსდებინ ჩენი რესპუბლიკის ყველაზე დიდი სიმფონიური ორკესტრები და ანსამბლები.

მ შენობის პროექტი ეკუთვნის ხეროვნობრივ გრანიტის შ. თავაძესა და ვ. უჩიუშაძეს.

როდესაც მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადა მოეწყო, საბჭოთა კაშირის მთავრობამ ქართული ხელოვნების შემდგომი განვითარების და გ. უჩიუშაძეს.


ობილის შემთხვევაში ამაღლების და გ. უჩიუშაძეს, საბჭოთა კაშირის მთავრობამ ქართული ხელოვნების შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად, სხვა ღონისძიებითა შორის, თბილიში და ლაცი საქონცერტო დარბაზის ავებაც დასახა, რაც დღეს განხორციელდა კიდევ.

ობილის შემთხვევაში ამაღლების და გ. უჩიუშაძეს, საბჭოთა კაშირის მთავრობამ ქართული ხელოვნების შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად, სხვა ღონისძიებითა შორის, თბილიში და ლაცი საქონცერტო დარბაზის ავებაც დასახა, რაც დღეს განხორციელდა კიდევ.

ლინური ნაციონალური პოლიტიკის განვიხილად გატარების შედეგად, აყვავებულ საბჭოთა ხელოვნების შემღვრმი ზრდა-გაფრინჯენისათვის.

საკონცერტო დარბაზის აშენდა კონსერვატორიის დარბაზის გვერდით. მთავარი შესავალი კარი გრამბოლევის ქუჩიდან აქვთ. შეხვალო თუ არა შენობაში, თქვენ მოხვდებით ესტრიმულში, სადაც საღარიყბია და ტანაცემელის საკიდები. აქედან შედისართ ოჩიგინალურად მოფიქრებულ ოჩისართულიან ფოიერი, რომლის წრისებური ცენტრალური ნაწილი ღია და ოჩთავე სართულს ცვეტები აერთიანებენ. ზედა ფოიერ წარმოადგენს წრისებურ აივანს. მა-ყურებლები, უწესრიგო მოძრაობისაგან თავის დასალშევათ, წრისებურად სეირნბერ ფოიერში.

მაყურებელთათვის აქ სერტებს შორის რბილი ავეგიც არის დადგმული. ფოიერის თან ახლავს დარბაზი, რომელშიაც ბუფეტია. ფოიერს პირველი სართულიდან ფართო კიბეებზე ავლით შედისართ დარბაზში.



საქელმწიფო კონსერვატორიის შენობა აზალი საქონცერტო დარბაზის მიშენებამჟე

ოქვენ ოვალშინ იშლება მაღალი ცვეტებით  
და თაღებით შემცული სამ იარუსანის სივ-  
რცე. მთელი დარბაზი ჩენესანის სტილით  
არის გაფორმებული. აქ სხვა სტილი არ  
გამოდგებოდა, რადგან საკონცერტო დარ-  
ბაზს, როგორც მიკედლებულ ნაგებობას,  
სტილური ნათესავის უნდა ჰქონდა კონ-  
სერვატორის შენობასა და გაფორმებასთან.  
კონსერვატორია აგებული და გაფორმებუ-  
ლია მოდერნიზებული ჩენესანის სტილში.  
საკონცერტო დარბაზს დამპროექტებულმა  
ხუროთმოძღვრებმა კი ჩენესანის უფრო  
წმინდა და კანონზომიერი სტილი აიღეს და  
შით თანამშეფარდებაც დაიცვეს და გაფორ-  
მებასაც მეტი მხატვრული ლირსება  
მოუპოვეს.


სცენასა და მაყურებელთა დარბაზს შეა-  
მოთავსებულია საორკესტრო, რომელსაც კა-  
ბინებური იატაკი აქვს, რაც ორესტრის  
მსახიობთა განლაგებისა და დირიჟორის  
შემოქმედების ხელისშეწყობის თვალსაჩრი-

სით შოხელებულად უნდა ჩაითვალი-  
სოდებულებლა, რომ საორკესტროს ჩუპო-  
რისებური აღნაგობა არ დაუშვებს ხების  
დაგუბებას და ამ მხრივაც მუსიკალური ბგე-  
რა-ელემენტების მომცემანი იქნება.

მაყურებელთა დარბაზი თავის ფართო-  
ბით თბილისი ზაქ. ფალაშვილის სახ. საო-  
ბერო თავტრის დარბაზშე უფრო დიდია.

საკონცერტო დარბაზის ფასადი მოხელ-  
ებულიდ არის შეგუებული თბილისის  
კონსერვატორიის შენობის ფასადთან. თით-  
ქმის არც კი იგრძნობა, რომ ერთი შენობა  
მეორეზეა მიშენებული. ზედა სართულე-  
ბიც არ არვევენ შენობის საერთო სტილურ  
სურათის.

ამგვარად, ქართველ მუსიკოსთა დიდი  
ხნის ოცნება განხორციელებულია და საქარ-  
თველოს შშირიმელებმა ამ დიდ სახეობო  
დღეებში შეიძინეს მუსიკალური პულტუ-  
რის ახალი კერა.



ახალი საკონცერტო დარბაზის შედეგი

ესკიზი არქ. შ. თავაძისა

## ස ම ර ම ම ම

මිල්පින්සයු—සාක්ෂෙපයාමි තාරිගි	3
ඩ. ගෝදු—සාක්ෂාත්කාරීයෙන් සැපුහාලිස් තුළුරි තුළුරි තුළුරි තුළුරි	7
ඩ. දාදානිස—මිගුවනීධිස නිෂ්පුද්‍රි	15
ඩ. නිබුදාසයු—දාරුතුළු සාම්පූද්‍රා ක්‍රියාත්මක මාන්දිල්ස්	19
ඩ. ඕසේරිතිස—දාරුතුළු සාම්පූද්‍රා මාන්දිල්ස්	36
පරිනි. ඩ. නිශ්චිතාජ්‍යෙන්ස—සාක්ෂාත්කාරීයෙන් සාක්ෂාත්කාරීයෙන්ස මාන්දිල්ස්	72
ඩ. ගේජ්නයු—දාරුතුළු සාම්පූද්‍රා මාන්දිල්ස්	78
ඩ. ගෙදුල්පෙන්ස—සාක්ෂාත්කාරීයෙන් මාන්දිල්ස මාන්දිල්ස	87
මිශ්‍රකාලුරි ක්‍රියාත්මක මාන්දිල්ස මාන්දිල්ස	94

### පෙරම්ප්‍රේම්ත්‍රියා:

- ඩ. ඩ. එම් එම් එම්
- ඩ. ඩ. ප්‍රාලින්ද
- ඩ. ඩ. ඩේරිනා
- ඩ. ඩ. නිරුකුගිණ්ද
- ඩ. ඩ. ඩාක්රාස්ඩ
- ඩ. ඩ. ඩාක්රාස්ඩ

පුදා මිඛාලාර් ඩ. මිශ්‍රකාලුරි

පුදා දා මුද්‍රාලා කුලානුවුදු දාම්ංචාලුත්තුළු සාක්ෂාත්කාරීයෙන් ඉග්‍රිය-පින්පිරාණාජ්‍යාච්

රුදායුග්‍රියා මිශ්‍රකාලුරි ත්‍රියුලුග්‍රියා මිශ්‍රකාලුරි මිශ්‍රකාලුරි මිශ්‍රකාලුරි මිශ්‍රකාලුරි මිශ්‍රකාලුරි 3-07-56  
මිලුදා මුද්‍රාලා දාම්ංචාලුත්තුළු දාම්ංචාලුත්තුළු මිශ්‍රකාලුරි මිශ්‍රකාලුරි මිශ්‍රකාලුරි

රුදායුග්‍රියා මිශ්‍රකාලුරි මිශ්‍රකාලුරි මිශ්‍රකාලුරි මිශ්‍රකාලුරි මිශ්‍රකාලුරි

පාමිලුම් මිශ්‍රකාලුරි මිශ්‍රකාලුරි 6 නිඟුත්තු මිශ්‍රකාලුරි. පාමිලුම් මිශ්‍රකාලුරි 27/I-41 ඩ. මිශ්‍රකාලුරි මිශ්‍රකාලුරි  
පාමිලුම් මිශ්‍රකාලුරි 22/II-41 ඩ. මිශ්‍රකාලුරි 315 මිශ්‍රකාලුරි 3500

තකිලුවාගි, ප්‍රාම්‍රා මිශ්‍රකාලුරි, මිශ්‍රකාලුරි මිශ්‍රකාලුරි 36

8560 5 856.

317/291



**САБЧОТА** Ежемесячный журнал, орган управления  
**ХЕЛОВНЕБА** по делам искусств Грузинской ССР

Шестой год издания Заказ № 315. УЭ11285. Тираж—3500.  
Тбилиси, типография „Заря Востока“, просп. Руставели № 36.